ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლიტერატურული საქართველო

№ 30 (1459), პარასკევი, 23 ივლისი 1965 წ. | საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობის ორგანო | «ЛИТЕРАТУРУЛИ САКАРТВЕЛО» — ОРГАН ПРАВЛЕНИЯ СОЮЗА СОВЕТСКИХ ПИСАТЕЛЕЙ ГРУЗИИ | ფასი 10 კაპ.

ხალხთა ძმურ ოჯახში

მეოთხედი საუკუნე გავიდა იმ დღიდან, რაც ლიტვის, ლატვიისა და ესტონეთის მშრომელებმა ბურჟუაზიის ბატონობა დაამხეს და დამოუკიდებელ თანასწორუფლებიან რესპუბლიკებად გაერთიანდნენ თავისუფალ ხალხთა ერთიან ძმურ ოჯახში — საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირში.

ლატვიის, ლიტვისა და ესტონეთის მშრომელებმა საოცნებო თავისუფლებას ხანგრძლივი, შეუპოვარი რევოლუციური ბრძოლით მიაღწიეს. ბურჟუაზიის ბატონობის პერიოდში ისინი მძიმე, ორმაგ ჩაგვრას განიცდიდნენ. მათ ექსპლოატაციას უწევდნენ და აჩანაგებდნენ ადგილობრივი ეროვნული ბურჟუაზია და უცხოელი იმპერიალისტები.

და აი, 1940 წლის 21 ივლისს ისტორიული გამარჯვების დღიდან ბალტიისპირეთის ცამ სამარადისოდ გადაიყარა ღრუბლები, თავისუფლების მზე ამობრწყინდა და ახალმა, თავისუფალმა და ბედნიერმა ცხოვრებამ მძლავრად გაშალა ფრთები, დაიწყო სოციალურ-ეკონომიური გარდაქმნები, რასაც სამეურნეო და კულტურული ცხოვრების მძლავრი აღმავლობა მოჰყვა.

1941 წლის ივნისში გერმანელ ფაშისტთა ვერაგულმა თავდასხმამ დროებით შეწყვიტა და შეაჩერა ახალი ცხოვრების მაჯისცემა, მათ ლიტვის, ლატვიისა და ესტონეთის მშრომელთა სოციალისტური მონაპოვრის ლიკვიდაცია მოახდინეს, მაგრამ ვერ ჩაკლეს ხალხში საბრძოლო შემართების სულისკვეთება და თავისუფლებისაკენ დაუცხრომელი ლტოლვა. ბალტიისპირეთის მშრომელები, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, შეუპოვრად იბრძოდნენ ფაშისტთა ურდოების განადგურებისათვის.

დიდი სამამულო ომის ძლევამოსილი გამარჯვებით დამთავრების შემდეგ ლიტვის, ლატვიისა და ესტონეთის სოციალისტური სახალხო მეურნეობა განუხრელი აღმავლობის გზას დაადგა. ბალტიისპირეთის რესპუბლიკებმა უკანასკნელი ოცი წლის მანძილზე არნახული გამარჯვებები მოიპოვეს მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში, მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარებაში. დიდი და თვალწარმტაცია მათი წარმატებები მხატვრული კულტურის — მუსიკის, სახვითი და თეატრალური ხელოვნების, მხატვრული ლიტერატურის განვითარებაში. ბალტიისპირეთის რესპუბლიკებს თვალსაჩინო წვლილი შეაქვთ მრავალეროვანი საბჭოთა კულტურის საერთო საგანძურში; მათი ხელოვნებისა და მწერლობის მიღწევები საბჭოთა კავშირის ყველა ხალხის კუთვნილებად იქცა. უსაზღვრო პოპულარობითა და საყოველთაო სიყვარულით სარგებლობს პეტრას ცვირკას, ე. მეჟელაიტისის, ანდრია უპიტის, ვილის ლაცისის, იან სუდრაბკალნის, ანა საქსეს, ავგუსტ იაკობსონის, ჰანს ლებერეხტის, იუჰან სმუულის და სხვათა ნაწარმოებები.

ბალტიისპირეთის მშრომელები, მოძმე საბჭოთა ხალხებთან ერთად, განუხრელად მიდიან წინ, პარტიის დიადი პროგრამით შეიარაღებულნი ძლევამოსილად აშენებენ ნათელ მომავალს — კომუნისტურ საზოგადოებას.

სოფი ლორენი და სერგო ზაქარიაძე.

შეხვედრა მოსკოველ მაყურებლებთან

19 ივლისს საღამოს, მეოთხე საერთაშორისო კინოფესტივალის მონაწილეთა დიდი ჯგუფი შეიკრიბა მოსკოვის მ. გორკის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკში, სადაც გაიმართა კინოხელოვნების ტრადიციული დღესასწაული. ქართველ კინემატოგრაფისტთაგან აქ იყვნენ რ. ჩხეიძე, ს. ზაქარიაძე, ლ. გელიავა, ლ. ღოღობერიძე, დ. წეროძე, რ. თაბუკაშვილი და სხვები. პარკის თეატრის სცენაზე გამოვიდნენ ცნობილი საბჭოთა და უცხოელი კინემატოგრაფისტები. მაყურებლები გულთბილად შეხვდნენ ს. ზაქარიაძის გამოსვლას. მოსკოველები ადრევე იცნობდნენ ამ ჩინებულ მსახიობს, მაგრამ ახლა ჯარისკაცის მამის როლში ბრწყინვალე თამაშით მეტად პოპულარული გახდა. ამ საღამოს იგი მაყურებლების წინაშე წარსდგა თავისი პერსონაჟის — გიორგი მახარაშვილის როლით. ოვაციები დიდხანს არ შეწყვეტილა.

ს. რიჟინაშვილი

დამთავრდა დიდი ფორუმი

დამთავრდა მოსკოვის მეოთხე საერთაშორისო კინოფესტივალი, რომელიც მიმდინარეობდა დევიზით: „კინოხელოვნების ჰუმანიზმისათვის, ხალხთა შორის მშვიდობისა და მეგობრობისათვის!" 20 ივლისს, საღამოს დიდძალი ხალხი შეიკრიბა კრემლის ყრილობათა სასახლეში. აქ ცხადდება კონკურსის შედეგები. სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმების ჟიურის გადაწყვეტილებით ფესტივალის დიდი პრიზი მიეკუთვნა საბჭოთა ფილმს „ომსა და მშვიდობას" (რეჟისორი ს. ბონდარჩუკი) და უნგრულ ფილმს „ოც საათს" (რეჟისორი ზოლტან ფაბრი). ოქროს პრიზი — ფილმებს: „თავს ზევით ცაა" (საფრანგეთი, რეჟისორი ივ ჩამპი) და „თავდასხმა" (ჩეხოსლოვაკია, რეჟისორი ირჟი სეკვენსი).

ჟიურის სპეციალური ოქროს პრიზი მიეკუთვნა იტალიელ რეჟისორს ვალერიო ძურლინის ფილმისათვის „ისინი ჯარისკაცებს მიჰყვებოდნენ", ვერცხლის პრიზი — ფილმებს: „სამი ნაბიჯი დედამიწაზე" (პოლონეთი) და „დიდი რბოლა" (აშშ).

ფესტივალის ჟიურიმ აღნიშნა ცნობილი რუმინელი რეჟისორის იონ პოპესკუ გოპოს და იუგოსლაველი ოპერატორის ტომისლავ პინტერის ნამუშევრები.

ანტიფაშისტური რომანის (დიტერ ნოლის „ვერნერ ჰოლტის თავგადასავალი") საუკეთესო ეკრანიზაციისათვის ფესტივალის სპეციალური პრიზი დაიმსახურეს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის კინემატოგრაფისტებმა.

ქალის როლის საუკეთესო შესრულებისათვის სპეციალური პრიზი მიიღო ცნობილმა იტალიელმა მსახიობმა სოფი ლორენმა (ფილმი „ქორწინება იტალიურად"), ხოლო მამაკაცის როლის საუკეთესო შესრულებისათვის — სსრ კავშირის სახალხო არტისტმა სერგო ზაქარიაძემ (ფილმი „ჯარისკაცის მამა").

ახალგაზრდობის ცხოვრებაზე საუკეთესო ფილმებისათვის ფესტივალის პრიზი დაიმსახურა ბულგარულმა ფილმმა „ქორწინების ნებართვამ". ფესტივალის პრიზი იმ სახელმწიფოების ფილმებისათვის, სადაც კინემატოგრაფია ახლა ვითარდება, მიეკუთვნა ალჟირის კინემატოგრაფისტთა ნამუშევარს: „ასეთია ახალგაზრდა სამყარო".

ფესტივალის ჟიურის სპეციალური დიპლომებით დაჯილდოვდნენ რეჟისორები: სუსუმი ჰანი (იაპონია) და ვატრასლავ მიმიცა (იუგოსლავია), კინომსახიობები: ბურვილი (საფრანგეთი), საველიევა (სსრკ) და ჯუდი კრისტი (ინგლისი), ფილმი — „4×4" (ნორვეგია).

ფესტივალზე საკონკურსოდ წარმოდგენილი მოკლემეტრაჟიანი ფილმების ჟიურის გადაწყვეტილებით ოქროს პრიზებით დაჯილდოვდნენ ფილმები: „ცრემლი ხაზზე" (იუგოსლავია, რეჟისორი სტეფან ზანინოვიჩი) და „ორნი" (რეჟისორი მ. ბოგინი, სსრკ).

ვერცხლის პრიზით დაჯილდოვდნენ ფილმები: „ის წრე" (კანადა), „ნგუენ ვან ჩოი მარად ცოცხალია" (ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკა) და „კუბელი მწყემსები" (კუბა).

ფესტივალის პრიზებით ჟიურიმ დააჯილდოვა ორი ფილმი: „დათვალიერება ალპებზე" (პოლონეთი) და „კეთილი მზის ერთი დღე" (სსრკ).

საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ორგანიზაციების პრიზები გადაეცა „ახალგაზრდა ჯარისკაცს" (ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკა), „ჩემი სახელი [illegible]" (შვეცია), „ჯალათს" (ესპანეთი), „წითელ წვერს" (იაპონია), „გამცემლობას" (საბერძნეთი), „მეგობრობა მეგობრობად" (მონღოლეთი) და სხვა ფილმებს.

ჯილდოები გადაეცათ აგრეთვე შემდეგ დოკუმენტურ ფილმებს: „ბიდ-ბა"-ს (გდრ), „დიდ ოლიმპიადას" (იაპონია), „[illegible] კვირას" (მალი), „ხალხთა მეგობრობას" (მონღოლეთი) და „უნანგრევებთ საბერძნეთს" (საბერძნეთი).

კინოფესტივალის მონაწილენი თბილისში

მოსკოვის მეოთხე საერთაშორისო კინოფესტივალის დამთავრების მეორე დღესვე თბილისში ჩამოვიდნენ ფესტივალის მონაწილენი: ერთი ჯგუფი — ესპანეთის კინომოღვაწეთა დელეგაცია ჩამოფრინდა 21 ივლისის დილით. დელეგაციის შემადგენლობაში შედიან ცნობილი მსახიობი ქალი ლუჩია ბოზე, მისი მეუღლე, ცნობილი ესპანელი ტორეადორი ლუის მიგელ დომინგინი, კინოჟურნალისტი ანტონიო ორლანო და იმპრესარიო პედრო როდრიგესი.

ჟურნალისტებისათვის აეროდრომზე გამართულ პრესკონფერენციაზე ლუჩია ბოზემ თქვა:

— ფესტივალზე ბევრი ფილმი არ მინახავს, [illegible] ქალაქისა და ადამიანების გაცნობას, რამდენჯერმე შევხვდი საბჭოთა და უცხოელ კინომუშაკებს, ვნახე საბჭოთა ფილმი „ომი და მშვიდობა", ძალიან საინტერესო ფილმია. მომეწონა კრემლის ყრილობათა სასახლე, მე მგონია, რომ ეს ერთ-ერთი ლამაზი შენობაა მათ შორის, რაც საერთოდ მინახავს. საქართველოში ჩემი ჩამოსვლის მიზანი რესპუბლიკის კულტურის გაცნობაა. ფილმების ნახვას აქაც მოვერიდები გარდა რესპუბლიკის ცხოვრებისადმი მიძღვნილი დოკუმენტური სურათებისა, რადგან ფილმების ნახვა ყველგან შეიძლება, ხოლო რაც შეეხება თბილისს, ვინ იცის როდის ჩამოვალ კიდევ.

იმპრესარიო პედრო როდრიგესმა თქვა: ოფიციალურად ესპანეთში საბჭოთა ფილმები ჯერ არ უჩვენებიათ.

უნდა გავიმხილოთ, რომ ეს ტრადიცია მალე დაირღვევა — სექტემბერში შევისყიდით ორ საბჭოთა ფილმს — „დონ კიხოტსა" და „ჰამლეტს". განზრახული გვაქვს აგრეთვე შევისყიდოთ ათი საბჭოთა ფილმი, მათ შორის, „ჯარისკაცის მამა", რომელიც ფესტივალზე ვნახე და მომეწონა.

აქვე ვბეჭდავთ ლუჩია ბოზეს ავტოგრაფს, რომელიც მან ჩაწერა ჩვენი გაზეთის კორესპონდენტის ბლოკნოტში: „დიდი მადლობა გულთბილი

Un caro saluto

Lucia Bosè

შეხვედრისათვის". ასეთი იყო პირველი განცდა, რომელიც თბილისში ჩამოსვლისას დაეუფლა მსოფლიოს კინოვარსკვლავს.

ცნობილი კინოვარსკვლავი ლუჩია ბოზე და მისი მეუღლე ლუის მიგელ დომინგინი თბილისის აეროდრომზე.

მშვიდობისა და განიარაღებისათვის

ჰელსინკში მუშაობა დაამთავრა მშვიდობის, ეროვნული დამოუკიდებლობისა და საყოველთაო განიარაღებისადმი მიძღვნილმა მსოფლიო კონგრესმა.

როგორც მსოფლიოს მშვიდობის საბჭოს პრეზიდენტმა ჯონ ბერნალმა თავის საბოლოო სიტყვაში აღნიშნა, ეს კონგრესი ერთ-ერთი წარმომადგენლობითი იყო მათ შორის, რომელიც აქამდე მოეწვიათ. კონგრესის მუშაობის უკანასკნელ დღემდე ფინეთის დედაქალაქში სისტემატურად ჩამოდიოდნენ დელეგატები ქვეყნების სხვადასხვა კუთხიდან. კონგრესის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო 98 სახელმწიფოს 1470-მა დელეგატმა და 18-მა საერთაშორისო ორგანიზაციამ.

კონგრესის მისამართით განუწყვეტლივ მოდიოდა დეპეშები ცნობილი მეცნიერების, მწერლების, საზოგადო და სახელმწიფო მოღვაწეებისაგან. პრეზიდიუმის სამუშაო მაგიდაზე ყოველ საათობით მატულობდა წერილების, დეპეშების, ღია ბარათებისა და ბავშვთა ფოტოსურათების რიცხვი, რომელიც სიმბოლური გამოხატულება იყო ქვეყნად სიცოცხლისა და კაცობრიობის კეთილი მომავლისადმი რწმენისა. ამით უბრალო ადამიანები სოლიდარობას უცხადებდნენ კონგრესის დელეგატებს.

ფორუმის მუშაობისადმი ფართო მასების ასეთი ყურადღება შემთხვევითი როდი იყო — ადამიანები სერიოზულად არიან შეშფოთებულნი მსოფლიოში შექმნილი დაძაბული მდგომარეობით. ამიტომ, როცა კონგრესზე გაისმოდა მოწოდებები, დაეგმოთ იმპერიალისტური ქვეყნების აგრესიული წრეები, რასიზმი და კოლონიალიზმი, ყოველი დელეგატი, ვისთვისაც ძვირფასია მშვიდობა და ადამიანების ბედნიერება, ამ მოწოდებებს დიდი ენთუზიაზმით ხვდებოდა.

კონგრესმა თავის საერთო განცხადებაში მოუწოდა ყველა ხალხს მოსთხოვონ თავიანთ მთავრობებს უფრო გადამწყვეტი ზომები მიიღონ მშვიდობის მისაღწევად, რათა იზოლირებულ იქნას ამერიკის იმპერიალიზმი და შეწყდეს აგრესია ვიეტნამში, მხარი დაუჭირონ კოლონიალიზმის წინააღმდეგ მებრძოლ ერებს, იბრძოლონ ნეოკოლონიალიზმისა და ექსპლოატაციის დაგმობისათვის. კონგრესმა ყველა ხალხს მოუწოდა ხელი შეუწყონ გაძლიერებული შეიარაღების წინააღმდეგ ბრძოლასა და საყოველთაო განიარაღებას, მთელ მსოფლიოში უშიშროების განმტკიცებას.

ვიეტნამის საკითხი ერთ-ერთი ცენტრალური პრობლემა იყო ჰელსინკის ფორუმისა. ვიეტნამისადმი მიძღვნილ სპეციალურ რეზოლუციაში კონგრესმა უდრეკი აღშფოთება გამოთქვა ამერიკის აგრესიული წრეებისადმი, მშვიდობისათვის მებრძოლ ყოველ ადამიანს მოუწოდა დაირაზმონ და დიდი ბრძოლა გააჩაღონ, რათა საყოველთაო დახმარება გაუწიონ სამართლიანი საქმისა, ეროვნული თავისუფლებისა, ერთიანობისა და მშვიდობისათვის მებრძოლ ვიეტნამელ ხალხს.

მარჯანიშვილის თეატრის გასტროლები

კოტე მარჯანიშვილის სახელობის თეატრმა ქუთაისში ამ დღეებში წარმატებით დაამთავრა გასტროლები. თეატრმა მაყურებელს უჩვენა თერთმეტი საუკეთესო დადგმა: „კახაბერის ხმალი", „ჯარისკაცის ქვრივი", „ლელა", „[illegible] მზე", „ვინაა, ვინაა?", „მედეა", „ჟანა დ'არკი", „მე ვხედავ მზეს", „თამაში ჭვავის ყანაში", „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი" და „[illegible] ოჯახი".

სპექტაკლებში მონაწილეობდნენ სსრ კავშირის სახალხო არტისტი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი ვ. ანჯაფარიძე, რესპუბლიკის სახალხო არტისტები: მ. ჯაფარიძე, ა. ომიაძე, აკ. კვანტალიანი, ა. ჟორჟოლიანი, გრ. კოსტავა, ს. თაყაიშვილი და სხვები.

11 ივლისს სპექტაკლ „მედეას" დამთავრების შემდეგ სცენაზე ავიდნენ ქუთაისელ მშრომელთა წარმომადგენლები და პიონერ-მოსწავლეები. თეატრის კოლექტივს სიტყვებით მიმართეს საქალაქო საბჭოს აღმასკომის კულტურის განყოფილების გამგემ ა. ბარათაშვილმა, რესპუბლიკის დამსახურებულმა მასწავლებელმა ვ. ბზალავამ და მესამე საშუალო სკოლის პედაგოგმა ლ. მარგველაშვილმა. საპასუხო სიტყვა წარმოთქვა თეატრის დირექტორმა და სამხატვრო ხელმძღვანელმა, ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ გ. ლორთქიფანიძემ.

ქუთაისიდან თეატრი ბათუმს გაემგზავრა.

ალექსანდრე ქუთათელი

მეტეხის შემოგარენი

ი. გრიშაშვილს

1.

არ მქონს კრწანისში მტრის ზარბაზანი,
მიწამ შეჭამა ავი შაშხანა.
არ ჩანს მეჩეთი, დაბლა ბაზარი
და მირზოევის ტყავის ქარხანა.
მეტეხის გალმა არ ჰყავს მოლა,
აბობღებული მეჩეთის თავზე.
ჰუჯის მაყალიც აღარა ბოლავს
და მიჯითანიც არ უხმობს თარსებს...
ახლა ხიდიდან არ გარბის ვირი,
ჩანს მანქანების ზღვა ქარავანი.
ახალ ცხოვრებამ მომართა სტვირი,
წაშალა ძველის ავან-ჩავანი.
ჩამოანგრია მეფის ყაზარმა
და საპყრობილე, მაშვრალთა მტერი,
ახალ ცხოვრებამ უზარმაზარმა
სამშობლოს სულმთლად უცვალა ფერი.

2.

მხიბლავს ქალაქი ლამაზი მეტად —
ვარდ-ყვავილებით სავსე კალათი,
ნარიყალასთან დგას ქართვლის დედა,
ხმლით რომ აკუწოს მტერი, ჯალათი,
ხოლო ჩაიკრას გულში მოყვარე
და მიაწოდოს ღვინით ფიალა.
[illegible] ჩემი მოგვარე
ქართლში ჩამოსულ სტუმრებს ციალა.
აბანოებთან გაშლილა ბაღი,
ყველგან გაისმის ტკბილი ქართული,
დამკვიდრებულა ცხოვრება ლაღი,
და ემატება სართულს სართული.
მხიბლავს საბრალო არაბი [illegible]
ნიშთან სანთელს მეც ავინთებ,
ჩემს აღსარებას შაირში ვამბობ.
ძმებისთვის ბევრჯერ რომ გამიმჟღავნებია:
გადაშენება ქართველთა გვარის
მტრის მოჩმახული ყალბი მითია,
შეუთავს, გრიალებს კლდეკართან
მტკვარი,
მისი ტალღები მარად მიდიან.
ვერ შეაჩერებს მდინარეს ხელი
კლდის ვიწროები, ვაზი ვერანი,
მეტეხის კლდეზე დგას გორგასალი
და კვლავ ჰიხვინებს მისი მერანი.

დრო და ადამიანი

ნარკვევი

კვირა დღე გათენდა. ქუჩაში ტრამვაი და მანქანები ახმაურდნენ.

კოტე ილურიძე ფრთხილად წამოდგა საწოლიდან, ტანსაცმელი ჩაიცვა, არ უნდოდა მძინარე ცოლს გაეგო. რამდენიმე დღე იყო, სულ იმას ეჩუჩუნებოდა: — ერთხელ მაინც წავიდეთ სოფელში, შვილიანები ვინახულოთ. — ქალი სწორედ ამ კვირადღეს უმიზნებდა. თან დასვენებით უნდოდა ქმარს. „კარგიო", — უპასუხებოდა კოტე. გულში კი სხვას ფიქრობდა: ღუმელი დარჩენოდა. ლითონს ჯერ ახურებს. თვითონვე უნდა შეაკეთოს, პიდა, კვირადღე ზედგამოჭრილია ამ საქმისათვის.

ის იყო კარი გააღო, რომ ცოლის ხმა დაეწია:

— სად, კოტე?

— მოვალ, თემურ... შეიძლება დამაგვიანდეს.

— არ წავალთ?

— ვნახოთ, — თქვა კოტემ და ტრამვაის გაჩერებისაკენ გასწია.

* * *

კოტე საამქროსაკენ მიდიოდა. აქაიქ ლითონის ჩამოხეხებული გროვები მოჩანდა. საამქროებში სიწყნარე იყო. იგი დიდი ხანია მიეჩვია ხმაურსა და ახლა ასეთი სიჩუმე არ ესიამოვნა. განიერ რიგში წყალი მოჩანდა. თან მაზუთის ლაქები მოატივტივებდა.

კოტე სამუშაო ფორმაში გამოეწყო. ორთქლის ჩაქუჩთან გაჩერდა. გაციებულ ლითონს ხელი ისე ფაქიზად შეახო, თითქოს ისიც ცოცხალი არსება ყოფილიყოს.

მერე თავისი ახალგაზრდობა დაუდგა თვალწინ. მაღალი, შავგვრემანი და გამხდარი ჭაბუკი იყო. ლოყებზე ახლად მოსდებოდა ღინღლი. სოფელი დილაბნელზე მიატოვა და საღამოს თბილისში აღმოჩნდა. ქუჩაში მძიმედ მიაბიჯებდა. არავის არაფერს ეუბნებოდა. არც თვითონ ეკითხებოდა ვინმეს, თუმცა თავში ათასი ფიქრი უტრიალებდა და საკითხავადაც ჰქონდა საქმე მეტისმეტად ბევრი, ჭაბუკს.

მართალია, ფიზიკური მუშაობისათვის გარეგნულად სუსტი ჩანდა, მაგრამ თვითონ დარწმუნებული იყო საკუთარ ძალაში. ბარი და თოხი გუშინ მიატოვა. ხელისგულებზე ახლაც ბზრები ასხდა. ძლიერი მკლავები ჰქონდა და რამდენიმე დღე იყო სამუშაოს ეძებდა თბილისში.

ერთი კვირის შემდეგ ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელ ქარხანაში დაიწყო მუშაობა მჭედლის თანაშემწედ. ურის ხმარება ემარჯვებოდა და მოხუცმა მჭედელმა შეაქო.

— შენ კარგი მჭედელი დადგები.

— ეჰ, ეშმაკმა იცის, რა დავდგები!..

— გულმოდგინებაც არ უნდა გაკლდეს, — დაარიგა მჭედელმა. საღამოს ქარხნის ეზოში მიაბიჯებდნენ. ეზო სავსე იყო მუშებით. ყველას გაზინზლული ტანსაცმელი ეცვა და ხელებიც ზეთითა და მაზუთით ჰქონდა გათხუპნული.

— ყმაწვილო, იცი აქ რა კაცები მუშაობდნენ? — ჰკითხა მჭედელმა.

— არა, საიდან მეცოდინება. — გაუბედავად ჩაილაპარაკა შეგირდმა და ცნობისმოყვარე თვალები მჭედელს მიაპყრო.

— არ დაივიწყო, მიხეილ ივანეს-ძე და ალექსი მაქსიმეს-ძე.

მჭედელი გაჩუმდა. ქარხნის იქით ძველ, ჩაგანგრეულ სახურავებს გახედა. ნახევრად დამწვარი პაპიროსი გვერდზე ისროლა და კოტე ილურიძეს მხარზე ხელი დაარტყა.

— ყმაწვილო, იქნებ არ იცი ვინ იყვნენ? — ჰკითხა მერე.

კოტე ჩუმად იყო და რაღაცას ფიქრობდა, ხმა არ ამოუღია.

— კალინინი და გორკი ხომ გაგიგონია? — ჰკითხა ისევ მჭედელმა.

კოტე უცებ გამოერკვა, ფიქრებს ერთიან გამოეთიშა, მჭედლის მკლავში ჩააფრინდა და ხმამაღლა შესძახა:

— აბა არა, გამიგონია, როგორ არ გამიგონია!

მჭედელი აღტაცებით ლაპარაკობდა ქარხანაზე. მღელვარე და ბოხი ხმა ჰქონდა, ან ისეთი, ნამთვრალევს მამაკაცებს რომ დაუყვებათ. მერე მათ სხვა მუშებიც შემოუერთდნენ და საუბარი უფრო გაცხოველდა. ისინი იდგნენ დაზგასთან, რომელზეც ერთ დროს მიხეილ კალინინი მუშაობდა ხარატად. აქ იყო რაღაც მოკრძალება და სიძლიერე ადამიანებისა. სწორედ მაშინ გადაწყვიტა კოტე ილურიძემ, ყოფილიყო მუშა, ისეთი მუშა, როგორიც ამ ქარხანას შეეფერებოდა.

გადიოდა წლები. კოტე გრძნობდა, რომ მასში ცვლილებები ხდებოდა. თვითონაც ისე იწრთობოდა, როგორც ცეცხლში ლითონი. ორთქლის ჩაქუჩთან რომ გაჩერდებოდა საკუთარ ძალას განსაკუთრებით მაშინ გრძნობდა, თბილი, სიამოვნების მაგვარი [illegible] დაუვლიდა ტანში. ისე იყო თუ ისე, პირველი სტახანოველი გახდა საქართველოში. ომი რომ დაიწყო, ფრონტზე გულით უნდოდა წასვლა, მაგრამ არ გაუშვეს. ქარხანა გამოუცდელი მუშებით შეივსო და მათი ხელმძღვანელობა კვალიფიციურ სპეციალისტებს ჰქონდათ მინდობილი. კოტე ილურიძე გაათკეცებით მუშაობდა. ფრონტს დიდძალი იარაღი სჭირდებოდა.

— მაშინ დამაჯილდოვეს ლენინის ორდენით, — იგონებს კოტე. უფრო გვიან კი სოციალისტური შრომის გმირი გახდა.

* * *

სადგურში ელმავალმა უცებ დაიკივლა. ამას ბუფერების რიტმული რახარუხი მოჰყვა. კოტე ფიქრებიდან გამოერკვა და იგრძნო რომ მატარებლის [illegible] მოუსვენლობა მძიმედ გაუვიდა.

მოძველებული ღუმელი დაანგრია. აგურები იატაკზე ფრთხილად დააწყო. მხოლოდ შეკეთებას ფიქრობდა, ახლა მთლიანად ახალი უნდა ააშენოს. გულდაგულ მუშაობდა. ღია კარიდან მზე [illegible]. კოტე ხანდახან ორთქლის ჩაქუჩებს გახედავდა, რომლებიც [illegible] მდუმარედ იდგნენ. მას მოეჩვენა,

— უჰ, რა ქენი, შე კაცო! ხუთ წელიწადს თავზე როგორ გადაახტი? — გაუკვირდა ვანო ალექსიძეს პირველად რომ გაიგო კოტეს წარმატება. კაცმა რომ თქვას, ვანოც კარგი მჭედელია. თითქმის კოტეს თანატოლია და ორივემ ერთ დღეს დაიწყო აქ მუშაობა. ვანოსაც უყვარს კოტესავით ხუმრობა და შრომა, მაგრამ თვითონაც კარგად გრძნობს, რომ კოტეს მარჯვენას მაინც სხვა მადლი და მარიფათი აქვს. წლიურ დავალებას, მართალია, ისიც გადაჭარბებით ასრულებს, მაგრამ როგორ დიხდა ამ კაცს გაუტოლდეს. 1970 წლის ანგარიშში რომ მუშაობს, ხუმრობა ხომ არ არის!

კოტე იშვიათი გულისხმიერია. რამდენს ურიგებს, ასწავლის, ეხმარება. აბა როგორ შეიძლება, მარტო შენს თავზე იფიქრო და სხვისი ცხოვრებით სულ არ დაინტერესდე. არა, კოტე ილურიძე ასეთი არასოდეს არ ყოფილა. ვინ იცის, რამდენი კარგი მჭედელი აღუზრდია; მას ყოველთვის ახარებს სხვისი წარმატება, კმაყოფილებას ვერ მალავს, როცა შეიტყობს ხოლმე, რომ ალექსანდრე მარგველაშვილი, პავლე ბედინაშვილი, მიხეილ ლაგრაძე და ალექსანდრე ზარდიაშვილი საქმეში მას არ ჩამორჩებიან.

გახურებული ლითონი ურის ქვეშ ახლავე მზის ნატეხივით ვარვარებს. მერე ორთქლის ჩაქუჩი მძიმედ ეცემა ზედ. ყრუ და დახშული ხმა ავსებს საამქროს. ლითონის ნაპერწკლები ცეცხლოვანი მარცვლებივით მიფრინავენ სადღაც და კოტეს აგონდება მთვარით განათებული ჭართლის ღამეები, როცა სუსტი ქარი უბერავდა და ვაშლისა და კაკლის ხეები მორიდებულად შრიალებდნენ. ციცინათელები კი ამ ნაპერწკლებივით დაქროდნენ ჩრდილებში.

ყოველთვის ამის ნახვა ძალიან უნდოდა კოტეს. ცოლმაც დაჟინებით სთხოვა წასულიყვნენ, მაგრამ იმ დღეს მას ღუმელი ჰქონდა გასაკეთებელი. მერე ვაგონ-გადასახმელი კავების გამოჭედვა დაიწყო. ხელნები და კიდევ რამდენი დეტალი უნდა დაამზადოს!

დრო კი თითქოს ნელა მიდის, როგორღაც ტაატით მიაბიჯებს. მას აინუნშიც არ მოსდის, რომ ვიღაცას ძალიან ეჩქარება, წინსვლას ესწრაფვის. იქ, მომავალში დიდი საქვეყნო საქმეები უხმობენ. ეს კაცი ორმოცდათხუთმეტი წლისაა და იმაზე სულ არ ფიქრობს 1965 წელს 70 წლის ტკბილი შემოდგომა რომ დადგა.

ბეჟან ლომსაძე

საგაზაფხულო გამოფენის ექსპონატებიდან



[illegible]

ვაჟა-ფშაველას გარდაცვალების ორმოცდაათი წლისთავისათვის

ამ დღეებში საქართველოს სახალხო პოეტის გ. ლეონიძის თავმჯდომარეობით გაიმართა ვაჟა-ფშაველას გარდაცვალების ორმოცდაათი წლისთავის აღმნიშვნელი კომისიის სხდომა.

8 აგვისტოს, დღის 1 საათზე პოეტის მშობლიურ სოფელ ჩარგალში გაიმართება ვაჟა-ფშაველას ხსოვნისადმი მიძღვნილი მიტინგი. მიტინგს გახსნის საქართველოს კომპარტიის დუშეთის რაიკომის პირველი მდივანი ა. შალური.

9 აგვისტოს, დღის პირველ საათზე მთაწმინდის პანთეონში მწერლები და თბილისის საზოგადოებრიობის წარმომადგენლები გვირგვინით შეამკობენ ვაჟა-ფშაველას საფლავს.

ამავე დღეს თბილისში, საღამოს 8 საათზე გაიმართება დიდი პოეტის ხსოვნისადმი მიძღვნილი საღამო, რომელსაც შესავალი სიტყვით გახსნის გიორგი ლეონიძე. მოხსენებას ვაჟა-ფშაველას ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ წაიკითხავს ალექსანდრე გომიაშვილი.

შვილი

ჯანსუღ ნიქაბაძე

1.

— მამა, მამიკო!
— ჰო, შვილო გისმენ!
— დედიკო მინდა, სად არის, სადა? —
მზიამ წუხილით წარმოსთქვა ისევ
და საწოლიდან ადგომა სცადა.

მალე ჩამოვა?
— დიახ, სულ მალე.
ეხლა კი მშვიდად იძინე შვილო! —
მე შეშფოთებით ვუმზერ მის თვალებს
და შუბლზე ფრთხილად ვაფენ სველ
ტილოს.

სიცხისაგან იწვის საბრალო ბავშვი:
— დედიკო მინდა, სად არის დედა!

ო, მის მთრთოლვარე, დაგუდულ ხმაში
ისმის რამდენი ფიქრი და სევდა.
ლაწვებზე ცრემლი ჩამოსდის ღვარად,
ჩასიცხულ თვალებს ტამიკამ ახელს,
რაღაცნაირი სიყვითლე ფარავს
მის მონუსხულ და ფერდიან სახეს.

ჯერ კიდევ გუშინ, ტოლებთან ერთად
იგი ეზოში დარბოდა ლაღად,
და ჩანჩქერული სიწრფელით ჩქეფდა
მისი სიცოცხლის ცისფერი ტალღა.

ეხლა კი... მზია ლოგინში წევს და
დედის მშობლიურ სიყვარულს ითხოვს,
დედა კი, მისი მშობელი დედა,
ამქვეყნად აღარც არსებობს თითქოს.

მას აღარ ესმის ავადმყოფ შვილის
ძახილი „დედა", მუდარით სავსე,
იგი წავიდა... და შავი ჩრდილი
დასტოვა ჩვენი ცხოვრების გზაზე.

2.

ხუთი წლის წინათ ბესიკის აღმართს
ჩვენ მივუყვებოდით იდუმალ თრთოლვით,
ცა კაშკაშებდა საოცრად, ლაღად,
ფეხქვეშ გვეფინა ხასხასა თოვლი.
ტოლს არ ვუდებდით სუსხიან ზამთარს,
მივიჩქაროდით ნათელი სახით,
იქ მთაწმინდაზე, შრიალა ბაღთან
გველოდა ჩვენი პატარა სახლი.
რა ბედნიერნი ვიყავით მაშინ,
ქვეყნად არ გვქონდა არაფრის რიდი,
[illegible] ცხოვრების ქარში
მომავლის აფრებს ამაყად ვშლიდით.
გვქონდა ოჯახი თბილი და სადა
და იმედები მომავლის დღეთა,
ყოველგვარ წუხილს, ფიქრსა და ავდარს
ვეცალებოდით ვიტანდით ერთად.

შემდეგ, ო, ის დღე სულ მიდგას თვალწინ,
დადგა ახალი, ნანატრი ჟამი,
ოცი წლის ვიყავ, ჯერ კიდევ ყმაწვილს,
დამერქვა დიდი სახელი მამის.

იდიდოს ის დღე!
მე გავხდი მამა,
და ჩემს თავს უმალ დავუსვი კითხვა,
ადრე სიკვდილის უფლება არ მაქვს,
დღეიდან უნდა ვიცოცხლო დიდხანს.

3.

პატარა ყვავილს, იმედად გაშლილს,
დავარქვით შენი სახელი — მზია,
ჩვენ იგი ხშირად დაგვყავდა ბაღში,
ერთად ვუსმენდით ფოთლების შრიალს.
მის ყოველ ღიმილს უბიწოს, წმინდას,
შევუფოთინებდით უსაზღვრო ლხენით
და ასე ტკბილად და ასე მშვიდად
ქროდნენ ლამაზზე ლამაზი დღენი.
მიდიოდნენ დღენი ხალისით სავსე,
ბედნიერები ვიყავით ერთობ,
მარად უღრუბლო ზაფხულის ცაზე
ჩვენი მომავლის ვარსკვლავიც ენთო.
წამოიზარდა პატარა მზია,
აიდგა ფეხი იმედად ჩვენდა
და რასაც ქვეყნად სიწმინდე ჰქვია,
უპირველესად წარმოთქვა „დედა!".

4.

აპრილის ღამე...
რატომღაც მაშინ
სამუშაოდან დავბრუნდი გვიან
და ჩვენს უბრალო, ღარიბულ სახლში,
ატირებული დამიხვდა მზია.
„დედა!" ბავშვი სტიროდა მწარედ,
ელდანაცემი იხოკდა კისერს,
ბოლოს დამშვიდდა... გამოველ გარეთ
და მეც ლოდინი დავიწყე მისი.
მაგრამ ამაოდ გელოდი თურმე,
სარკმელთან ვპოვე ბარათი შენი,
უცებ ჩემს ირგვლივ ჩამოწვა მრუმე,
გამოუთქმელი უბრალო ენით.

მწერდი: „რაც არის გადაწყვეტს უნდა,
თუმც მიმძიმს, მაგრამ აშკარად გეტყვი,
მივყვები მას, ვინც მიყვარდა მუდამ,
უმისოდ აღარ ძალმიძს მეტი".

ტიროდა მზია საოცრად მწყრალი,
თუ იგრძნო დედის დაკარგვის შიში,
ბოლოს წამოწვა, დახუჭა თვალი
და ისევ დედას უხმობდა ძილში.

5.

„დედა" ეს სიტყვა რა ტკბილად ისმის,
ლულუნებს როგორც ქართული ნანა,
მაგრამ ამ წმინდა სახელის ღირსი
ქვეყნად სუყველა ქალია განა?!

დედაზე ტკბილი, დედაზე უფრო
კარგი, ბავშვს ვინ ყავს, ეს იცი შენაც,
უდედო ბავშვი, ჩიტსა ჰგავს უფრთოს,
რომელსაც ცაში სწყურია ფრენა.
დედაა, შვილის ყოველგვარ სევდის
მესაიდუმლე, გამგები, ფარი,
შვილი ამაყობს მზრუნველი დედით,
დედა ეს მისი საუნჯე არი,

შენ რად გასთელე ქართველი ქალის,
ქართველი დედის სახელი წმინდა,
რისთვის უარყავ მშობლების ვალი,
შენ გეკითხები, პასუხი მინდა.
მითხარ, რა ვუთხრა პატარა მზიას,
ყოველ წამში რომ გკითხავს, გეძებს,
მე ვიცი, მჯერა ადრე თუ გვიან
შენ დაფიქრდები საკუთარ ბედზე
და უსაშველო სირცხვილი დაგწვავს.

6.

ქედებს სინათლე ადგება დილის,
სალამი დილას, სიცოცხლეს ახალს!
ვხედავ, მიღიმის პატარა შვილი,
ალბათ სიზმარში დედიკო ნახა.
და მერამდენედ ისევ და ისევ
კითხულობს, რაც ენას ვერ იტანს ლოდინს.
— მამა, მამიკო!
— ჰო, შვილო გისმენ!
— დედა სად არის, რატომ არ მოდის?!

საგაზაფხულო გამოფენის ექსპონატებიდან



ქალიშვილი ბროწეულებით.

მხატვარი ი. ქოიავა.

სახელოვანი ისტორიკოსი

დასრულდა ჩვენი დროის უფროსი თაობის თვალსაჩინო წარმომადგენლის, ბრწყინვალე ნიჭითა და შემოქმედებითი უნარით უხვად დაჯილდოებული სახელოვანი ქართველი ისტორიკოსის ნიკო ბერძენიშვილის წუთისოფელი. სიცოცხლეს გამოესალმა საქართველოს ისტორიკოსთა სახელოვან სამეულს — ივანე ჯავახიშვილი, სიმონ ჯანაშია, ნიკო ბერძენიშვილი — უკანასკნელი მოგვიკვდა.

ნიკო ბერძენიშვილმა დიდი ამაგი დასდო საქართველოს ისტორიის შესწავლის საქმეს და თავისი დაუღალავი და მიზანსწრაფული შრომით ახალ საფეხურზე აიყვანა მშობლიური ისტორიოგრაფია.

არიან ისტორიკოსები, რომელთაც უპირატესად ისტორიული მოვლენების ანალიზი ეხერხებათ, ხოლო მეორე მხრით, არიან ისეთი ისტორიკოსები, ამათი რიცხვი მეტად მცირეა, რომელთაც მეტწილად მოვლენების განზოგადოება, სინთეზი ემარჯვებათ. ნიკო ბერძენიშვილი ორივე სფეროში მაღალი ოსტატობით გამოირჩეოდა და ამის წყალობით მის კვლევა-ძიებას მონოლითურობა, სისრულე, შემოქმედებითი აზრის სიმაღლე და თვალსაჩინოება ახასიათებდა. ამასთან ერთად მის ნაწერს ახასიათებდა სწორუპოვარი სტილი, რომელიც ხალხური მეტყველების ელვარებას ემყარებოდა და მეტად მიმზიდველი იყო.

ნიკო ბერძენიშვილი ის მეცნიერი-მკვლევარია, რომელიც ქართული ისტორიოგრაფიის საფუძველთა-საფუძველს — წყაროებსა და წყაროების შეგროვებას დიდ ყურადღებას აქცევდა და დაუღალავად ზრუნავდა წყაროების გამდიდრებაზე. მან გაამდიდრა მეცნიერება არა მარტო სამეცნიერო გამოკვლევებით, არამედ შესძინა მას ახალი, ძვირფასი მასალები, როგორც უშუალოდ მის მიერ, ისევე მისი ხელმძღვანელობით, ინიციატივით და გეგმით სხვების მიერ მოძიებული. ამის მაგალითია თუნდაც მის მიერ დაარსებული სერიული გამოცემა „მასალები საქართველოს სოციალური ისტორიისათვის", „მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის" და ბევრი სხვა. მას ახარებდა ყოველი ახლად შენაძენი ძეგლი დიდი და პატარა, ახლად შენაძენი ფაქტი, რომელიც საქართველოს ისტორიას გამოადგებოდა. ის აღფრთოვანებული შეხვდა საქართველოს ეთნოგრაფიის სერიული ალბომის პუბლიკაციას, რომელშიც მან დაინახა ხალხური შემოქმედების უტყუარი ფაქტები, კულტურის ისტორიის მნიშვნელოვანი წყარო.

კარგად არის ცნობილი ნ. ბერძენიშვილის წყაროებისადმი კრიტიკული მიდგომა და მეცნიერული ალღო. ნ.

ბერძენიშვილს კარგად ჰქონდა გათვალისწინებული, რომ შიშველი ფაქტი ისტორიისათვის გამოუყენებელია, თუ ის არ არის გენეტიკურად გაშუქებული და ახსნილი გარემომცველ მოვლენებთან კავშირში.

ნიკო ბერძენიშვილი ღრმად იხედებოდა ჩვენი ხალხის ისტორიულ წარსულში. მისი მკვლევარობის არეში მოქცეული იყო ყველა სახის ისტორიული წყარო: წერილობითი, არქეოლოგიური, ეთნოგრაფიული, ფოლკლორული თუ სხვა, და მათი კრიტიკული შესწავლის შედეგად მოვლენათა კანონზომიერებას ადგენდა, ისტორიის მამოძრავებელი ძალების დედაძარღვს აგნებდა, ისტორიის ძირითად პრობლემებს წყვეტდა. ნ. ბერძენიშვილის გონების თვალი ისტორიის ყველა დარგს წვდებოდა: პოლიტიკურს, სოციალურს, ეკონომიურს, იურიდიულს და სხვ.

დიდი იყო ნ. ბერძენიშვილის განჭვრეტის უნარი და, რამდენადაც ღრმად იცნობდა ის ქართველი ხალხის წარსულში, იმდენად უფრო ფართოდ ხედავდა მის მომავალს.

დიდი და საშვილიშვილოა ნ. ბერძენიშვილის მოღვაწეობა სხვა მხრივაც. ის დიდ დროსა და ენერგიას ახმარდა კვალიფიციური კადრების აღზრდას, ყოველ ახალგაზრდას, ენერგიულს, შრომისმოყვარეს, პერსპექტიულს გზას და მიმართულებას უსახავდა, [illegible] ისტორიკოსთა [illegible] სამეცნიერო დარგს ჩაუყარა საფუძველი ჩვენში და სწორ გზაზე დააყენა.

ნ. ბერძენიშვილის შემოქმედებითი მგზნებარება ბოლო დრომდე შერჩა, როდესაც ჩვენ მოველოდით, რომ მან მისი დიდი სიყვარული ქართველი ხალხის წარსულის, აწმყოს და მომავლისადმი ახალსა და ახალს ნაყოფს გამოაღებინებდა, იგი სიკვდილმა მოიტაცა, მოაცილა მოღვაწეობას და შეწყვიტა მისი გულის ძგერა.

ქართველი ხალხი არ დაივიწყებს თავის ნამდვილ შვილს, ხოლო შემდგომი თაობები განაგრძობენ იმ საქმეს, რომელსაც ასე წარმატებით ემსახურებოდა ნიკო ბერძენიშვილი.

ვ. ბარდაველიძე,
მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი.

გ. ჩიტაია,
მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, პროფესორი.

ნ. ა. ბერძენიშვილის დაკრძალვა

20 ივლისს თბილისის მშრომელები დიდი და უსაზღვრო მწუხარებით გამოეთხოვნენ თვალსაჩინო ქართველ ისტორიკოსს, ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის დირექტორს, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს, სახელმწიფო პრემიის ლაურეატს, მეცნიერების დამსახურებულ მოღვაწეს, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატს ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე ბერძენიშვილს.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სააქტო დარბაზი, სადაც დასვენებულია მეცნიერის ცხედარი, სავსეა ცოცხალი ყვავილებით, რომლებიც მოიტანეს სამეცნიერო დაწესებულებათა, უმაღლეს სასწავლებელთა კოლექტივებმა, ნ. ა. ბერძენიშვილის მახლობლებმა და მოწაფეებმა.

18 საათზე დაიწყო მშრომელთა გამოთხოვება ნიკო ბერძენიშვილთან.

ჟღერს სამგლოვიარო მუსიკა. ყოველ ხუთ წუთში იცვლება საპატიო ყარაული. საპატიო ყარაულში დგანან სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტები შ. ამირანაშვილი და გ. წერეთელი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ა. ჩიქობავა, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი გ. ჩიტაია, პროფესორები ი. ანთელავა, ა. აფაქიძე, შ. მესხია, მ. დუმბაძე, აფხაზეთის, აჭარის, სამხრეთ ოსეთის მეცნიერთა დელეგატები, დაკრძალვის საორგანიზაციო კომისიის წევრები.

აკადემიკოს ნ. ა. ბერძენიშვილთან გამოსამშვიდობებლად მოვიდნენ ამხანაგები ა. ა. როდიონოვი, დ. გ. სტურუა, შ. ი. ჭანუყვაძე, გ. დ. ჯავახიშვილი, ო. ი. ლოლაშვილი, ო. ე. ჩერქეზია, ა. ნ. ინაური.

18 საათია. დაკრძალვის საორგანიზაციო კომისიის წევრებმა, ნათესავებმა და მახლობლებმა გამოასვენეს ნ. ა. ბერძენიშვილის ცხედარი. უნივერსიტეტის ეზოში გაიმართა სამგლოვიარო მიტინგი. მიტინგი გახსნა დაკრძალვის საორგანიზაციო კომისიის თავმჯდომარემ, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ვ. მ. სირაძემ. სიტყვები წარმოთქვეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა ი. დოლიძემ, თბილისის სახელმწ. უნივერსიტეტის პროფესორმა ა. სურგულაძემ, სომხეთის სსრ მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს-მდივანმა ს. ერემიანმა, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აფხაზური ენის, ლიტერატურისა და ისტორიის ინსტიტუტის სწავლულმა მდივანმა ბ. ჯანაშიამ.

სამგლოვიარო პროცესია მიდის საქართველოს მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა მთაწმინდის პანთეონისაკენ. აქ გაგრძელდა სამგლოვიარო მიტინგი. სამგლოვიარო სიტყვები წარმოთქვეს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა, ლენინური პრემიის ლაურეატმა გ. მელიქიშვილმა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის სტუდენტმა მ. ბიჭურიშვილმა, პოეტმა კ. კალაძემ, მეცნიერების დამსახურებულმა მოღვაწემ პროფესორმა ვ. დონდუამ.

სამგლოვიარო მიტინგი დამთავრდა. გაისმის სევდიანი მელოდიები და კუბო ნელ-ნელა ეშვება საფლავში. საფლავი ყვავილებით დაიფარა.

ამბავი ბიჭვინთის ქანდაკებისა

ბოლო წლების არქეოლოგიური გათხრებიდან განსაკუთრებით საყურადღებოა ბიჭვინთაში ნაპოვნი ერთი ქანდაკი, რასაც არქეოლოგმა რ. რამიშვილმა პირობითად მეთევზის ქანდაკება უწოდა. ეს მცირე ზომის ქანდაკება აღმოჩნდა ბიჭვინთის არქეოლოგიური გათხრებით მესამე თხრილის № 12 კვადრატში (მასალები საქართველოს და კავკასიის არქეოლოგიისათვის, 1963, გვ. 133-135). რ. რამიშვილის აღწერილობით ქანდაკი გამოსახავს მამაკაცის ადამიანის ფიგურას, ტანზე აცვია მარჯვენით მხარჩახსნილი კაბა, წელზე არტყია სარტყელი, მარჯვენა ხელში უჭირავს კალათა, მარცხენა ხელში კი — რაღაც მხარზე გადაგდებული საგანი, რაც, ერთი შეხედვით, სათევზაო ბადეს ემსგავსება... ქანდაკებას სხეულთან შედარებით დისპროპორციული თავი აქვს: ქოსაა, თავი, პროფილით, მარჯვენა მხრიდან ოდნავ მომრგვალოა, ხოლო მარცხენა მხრიდან — მოწყვეტილი, სწვდიანი. თავზე ადგას წოწოლა ქუდი, გამოსახულება ითიფალურია (იხ. სურ. 1).

ბიჭვინთის 1960 წლის არქეოლოგიური გათხრების მეოთხე კვადრატში, ვ. ი. 20-25 სანტიმეტრით უფრო მაღლა, ვიდრე იპოვეს ჩვენთვის საინტერესო ქანდაკი, ნაპოვნია მიშველი ფიგურა, მჯდომარე პოზით. მას მარცხენა ხელში უჭირავს ყურძნის მტევანი. იგი დიონისეს გამოსახულებად მიიჩნევა. რ. რამიშვილის მოწმობით ორივე ქანდაკი ერთ კულტურულ ფენაში თავსდება და ახალი წელთაღრიცხვის მეორე-მესამე საუკუნით თარიღდება.

მეცნიერთა მიერ კულტურული მევენახეობის სამშობლოდ, ერთ-ერთ მთავარ ცენტრად მიჩნეულ საქართველოს ტერიტორიაზე მრავლად არის აღმოჩენილი მევენახეობა-მეღვინეობის მფარველი ღვთაების გამოსახულებები. სოფ. ბორის (ქიცხის ხარაგოულის რაიონი) განძში აღმოჩნდა ბრტყელი ჯამი, რომელზედაც გამოხატული უნდა იყოს ბაკ-დიონისეს [illegible]. ამავე განძში აღმოჩნდა დიონისური ატრიბუტების სუროს ფოთლების გამომსახველი ორი საკინძე და ყურძნის მტევნების სახიანი საყურეები. 1948 წელს პირველად გამოვაქვეყნე სვანეთიდან ჩამოტანილი და საქართველოს ხელოვნების მუზეუმში დაცული კამეა სუროს ფოთლების გვირგვინით შემკობილი წვერიანი მამაკაცის გამოსახულებით, რაც მევენახეობა-მეღვინეობის სადიდებელ სახიობაში გამარჯვებულ მონაწილის გამოხატულებად მივიჩნიე. ეს კამეა თავის ნარკვევში განიხილა სარა ბარნაველმა; მისი ვარაუდით, კამეაზე გამოსახულია დიონისეს მხლებელი ღვთაება სილენი.

მევენახეობა-მეღვინეობის მფარველი ღვთაების სადიდებელი სახიობიდან წარმოშობილი თეატრალური კულტურის დამახასიათებელ ძეგლთაგან საქართველოს ტერიტორიაზე ნაპოვნია კომიკური ნიღბის მოდელი სოფ. ვანში, აქტიორული ნიღბის გამომსახველი გემები სამთავროსა და თერჯოლაში. 1951 წ. მცხეთაში გათხრილ აკლდამაში იპოვეს ანტიკური თეატრის საშემსრულებლო პრაქტიკისათვის აუცილებელი მუსიკოსის (ფლეიტისტის) ბრინჯაოს ქანდაკება. 1946 წელს, ბაგინეთის არქეოლოგიური გათხრებისას იპოვეს სპილოს ძვლის ფირფიტა მოცეკვავე ქალის რელიეფური გამოსახულებით.

როგორც დამწერლობითი ცნობებითა და ხუროთმოძღვრულ ნაგებობათა შესწავლით გაირკვა, ანტიკური ხანის საქართველოს სამეფოებში — კოლხეთსა და ქართლში, აგრეთვე ქართველი ტომებით დასახლებულ პონტოს სამეფოში არსებობდა თეატრები (უფლისციხეში, აფსაროსში, პონტოს ქალაქებში). ლუკიანეს ცნობით, პონტოს სამეფოს მცირე მცხოვრებლები მთელი დღეები ისხდნენ თეატრებში და უცქეროდნენ დიონისურ-ბაქხურ პანტომიმებს.

ყოველივე ეს გვაფიქრებინებს, რომ ბიჭვინთის გათხრების ერთ-ერთ კულტურულ ფენაში აღმოჩენილი მევენახეობა-მეღვინეობის ღვთაების ქანდაკებასა და ღარიბი ქოსა კაცის ქანდაკებას შორის, რომლის თავი სხეულთან შედარებით დისპროპორციულია და სახის ერთი მხარე მომრგვალო აქვს, ხოლო სახის მეორე მხარე მოწყვეტილი და სწვდიანი, კავშირი უნდა არსებობდეს. ამიტომაც დაწვრილებით განვიხილოთ ღარიბი ქოსა კაცის გამომსახველი ქანდაკება.

აბგა-შულდაკი. რ. რამიშვილი მხოლოდ პირობითად უწოდებს ამ ქანდაკებას მეთევზეს. ერთ-ერთ დასაყრდენად ამ ფიგურის ასეთი ახსნისათვის მკვლევარს ის მიაჩნია, რომ მარცხენა მოხრილ ხელში უჭირავს „რაღაც მხარზე გადაგდებული საგანი, რომელიც ერთი შეხედვით სათევზაო ბადეს მოგვაგონებს". უფრო საფიქრებელია, რომ ეს არის აბგა (მახალი, მახალაკი) — შულდაკი — მოსახდებელი, მხართ სატვირთავი (სულხან-საბა ორბელიანი).

გავიხსენოთ, რომ ანტიკურ ტრაგედიასა და კომედიაში მიწათმოქმედისა და მონის პერსონაჟების შემსრულებელნი ატარებდნენ აბგებს — შულდაკს (საზურგულს) — პერა-ს (გ. ემიხენი, ბერძნული და რომაული თეატრები. მოსკოვი, 1894, გვ. 204; პერა — სამგზავრო გუდა. მათხოვრის გუდა, აბგა). ამ აბგის, გუდის დანიშნულება ახსნას პოულობს ქართული ხალხური ნიღბების თეატრში — ბერიკაობაში. ბერიკებს:

მკიდავ გუდები, — მასპინძელზე
აქვს თვალია,
გუდას მოიხსნის, იძახის: ცოტა
ფქვილი ჩაგვიყარია,
ყველი და ხაჭო ჩაგვიდეთ, ხორციც
მოგვეცით მალია.

(საუნჯე ხალხური შემოქმედებისა, ტ. 2, გვ. 203-204).

კალათა. ბიჭვინთაში აღმოჩენილ ქანდაკებაზე გამოსახულ კაცს მარჯვენა ხელში კალათა უჭირავს. გ. ემიხენის წიგნში დაბეჭდილ სცენურ სიძველეთა სურათებიდან კომედიის პერსონაჟს — მონას, რომელსაც მარჯვენა მხარჩახსნილი სამოსი აცვია, აგრეთვე ხელთ კალათი უჭირავს. ეს კალათი ისეთივე მოყვანილობისაა, როგორიც ბიჭვინთის ქანდაკებაზე (იხ. სურ. 2).

კალათა დამახასიათებელია ქართული ხალხური ნიღბების თეატრისათვის — ბერიკაობისათვის. ბერიკები სახიობო წარმოდგენის წინ მოსახლეობას კარდაკარ დაუვლიდნენ და „ხარკის აკრეფისას" იტყოდნენ:

ბერიკას კარსათ, გიპრიალებ
თვალსათ,
ჩქარა თუ რას გამომიტან, თორო
გიმტვრევ კარსათ.

ალათახა ბალათახა, ხელი ჩაჰყავ
კალათახა,
ერთი კვერცხი გამოგვიტა, შენი
სახლის ბარაქახა.

(ს. მაკალათია, ფშავი, გვ. 164; პ. უმიკაშვილი, ხალხური სიტყვიერება, გვ. 278-9).

ბიჭვინთის ქანდაკებითგამოხატულ ფიგურას რომ ხელთ კალათა უჭირავს, ესეც თავის ახსნას ქართული ხალხური სანახაობრივი კულტურის სინამდვილეში პოულობს.

თავსახური. ბიჭვინთის ქანდაკებით გამოსახულ ფიგურას თავზე წოწოლა ქუდი ახურავს. წოწოლა თავსახურავი რქის გამომსახველი უნდა იყოს. ცნობილია, რომ დიონისეს კულტში რქა წარმოადგენდა ხარის დაუმორჩილებელი ძალის განსახიერებას (ა. ვესელოვსკი, დიონისეს დღესასწაულები. ისტორიული პოეტიკა. გვ. 441). დიონისეს კულტის მსახურთა ნიღბებისათვის დამახასიათებელი იყო რქებიანი ნიღაბი. რქებიანი ღვთაების სახიერება კი მომდინარეობს წინა აზიის ხალხთა მითოლოგიური წარმოდგენებიდან. საინტერესოა, რომ ქართულმა ხალხურმა სანახაობრივმა შემოქმედებამ მოთამაშის წოწოლა ქუდით გამოსვლის ტრადიცია დღემდე მოიტანა, ეს წოწოლა ქუდი, რომელიც [illegible] მიღებული ყვრის თავსახურავად, გვხვდება 1188 წლის ქართულ ხელნაწერ ასტროლოგიურ ტრაქტატის დასურათებაში. მსახური ჩიქან წყალს ილებს, მსახური გამოხატულია წოწოლა ქუდით (სურ. 5). წოწოლა ქუდი გვხვდება XIII ს. ქართული სახიობის ამსახველ მინიატურაშიც — სახიობის შემსრულებელთა თავსაბურავად.

„ხელმწიფის კარის გარიგების" მიხედვით (გვ. 1) წელიწადის თავს (ახალ წელიწადს) „მაღლად აშვერილსა ქუდსა" იხურავდნენ. ვახუშტისაც აღნიშნული აქვს, რომ ძველად „პირველს ერთშაბათსა შინა" ხმარებაში ყოფილა „თავს ქუდი გრძელი". მაცხვარიშის კედლის მხატვრობაც ამას მოწმობს.

ტანსაცმელი. ბიჭვინთის ქანდაკებით წარმოსახულ ფიგურას ისეთივე ტანსაცმელი აცვია, როგორიც მიღებული იყო ანტიკურ კომედიაში მონის ან მიწათმოქმედის განმასახიერებელი მსახიობისათვის. გ. ემიხენის დასახელებულ წიგნში ანტიკურ სიძველეთაგან გამოქვეყნებულ სურათზე — „მონა კომედიიდან" — მსახიობს ისეთივე ტანსაცმელი აცვია, როგორც ბიჭვინთის ქანდაკებით გამოხატულ ფიგურას. ორთავეს ცალმხარჩახსნილი კაბა უცვიათ. კაბა მარჯვენა მხრით არის ჩახსნილი. ორივე გამოსახულებით კაბას სარტყელი არტყია, მოკლეა, მუხლებსაც არ სწვდება (სურათი 2).

საქართველოს სინამდვილეში ძველად მსახურთათვის სწორედ ასეთი კაბები ყოფილა დამახასიათებელი. ჯრუჭის ოთხთავის მინიატურათა შორის (940 წ.) ჩვენს ყურადღებას იპყრობს „ემმაუსელის განკურნება" (ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია... აკ. შანიძის გამოცემით, თბილისი, 1945, ტაბ. 10, სურ. 19). როგორც ჩანს, ამ მინიატურაზე სულით ავადმყოფი გამოხატულია მხარჩახსნილი კაბით. ამ მინიატურების მკვლევარი რ. შმერლინგი აღნიშნავს, „ეს სამოსელი ალექსანდრიული ელინისტური მხატვრობისათვის არის დამახასიათებელი" (იქვე, გვ. 030-071). მეთორმეტე-მეცამეტე საუკუნის ქართულ ხელნაწერში (№ A-109), რომელიც ეფრემ მცირისაგან კომენტარებით შემკულ გრიგოლ ნაზიანზელის თხზულებათა კრებულს წარმოადგენს, მოთავსებულია მევენახეობის დარგის ამსახველი სურათი. ამ სურათზე მიბალე მიწათმოქმედი მხატვარს მარჯვენა მხარჩახსნილი კაბით ჰყავს გამოხატული (ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, ტ. II, გვ. 112). მეთორმეტე საუკუნის მეორე ნახევრის ქართულ ხელნაწერის ჯრუჭის მეორე სახარების (№ H-1667) მინიატურაზე — „თესვა და მკა" — გლეხის სამოსი „ღრმად ამოჭრილია ყელთან, ისე, რომ ჩაცმისას მარჯვენა მხარე შიშველი რჩება (მხარჩახდილი), მარცხენაზე კი გრძელი სახელო აქვს" (ნ. ჩოფიკაშვილი, ქართული კოსტუმი, გვ. 92-93). როგორც ჩანს, დაბალი სოციალური ფენებიდან მონები, გლეხები, ხელოსნები XII-XIII საუკუნემდე მაინც ატარებდნენ მარჯვენა მხარჩახსნილ მოკლე (მუხლებამდე) კაბა-სამოსს, რაც სარტყლით ჰქონდათ შემორტყმული. ბიჭვინთის ქანდაკებით გამოხატული ფიგურის სამოსი ძველი ქართული მატერიალური კულტურის სინამდვილეშიაც პოულობს თავის დასაბუთებას.

ითიფალობა. ბიჭვინთის ქანდაკებას ახასიათებს მკვეთრად გამოხატული ითიფალობა — მამაკაცის სასქესო ორგანოს ხაზგასმით გამოხატვა. დიონისეს ხალხური დღესასწაულებისათვის დამახასიათებელი იყო ფალოსის ტარება. ეს ნათლად არის ასახული და დამოწმებული არისტოფანეს კომედიაში — „აქარნელებში". დიონისეს სადიდებელ სახიობაში მონაწილეობდნენ ღვთაების მხლებელთა შორის ითიფალები, ისინი ატარებდნენ ხისაგან გამოთლილ ან წითელი ტყავისაგან შეკერილ ფალოსს (ა. ვესელოვსკის დასახელებული შრომა, გვ. 441). სწორედ ამ ითიფალებისა და ფალოფორების ფალიკურ სიმღერებიდან უნდა წარმოშობილიყო კომედია, როგორც ამის შესახებ წერს არისტოტელე: „კომედია წარმოიშვა იმ ფალიკურ სიმღერათა წამომწყებთაგან, რომლებსაც ამჟამადაც მრავალ ქალაქში მღერიან" (პოეტიკა, თბილისი, 1944, გვ. 10). მიმოსფლიაკების შემსრულებელი მსახიობები [illegible] მიმში „პრიაპოსის სიკვდილი" ატარებდნენ ფალოსს.

არქეოლოგმა რ. რამიშვილმა შენიშნა, რომ ბიჭვინთის ქანდაკებაზე გამოხატული ფიგურა მთელი რიგი ნიშნებით ნათესაურ კავშირს იჩენს კავკასიური ფიგურების იმ ჯგუფთან, რომლებსაც ახასიათებთ ითიფალობა და თავზე რქის გამოსახულება (რამიშვილის დასახ. ნარკვევი, გვ. 135). მართლაც ს. რიონში (ქუთაისის მახლობლად), სვანეთში და ჩრდილოეთ კავკასიაში აღმოჩენილი მცირე ქანდაკებანი, წოწოლა რქისებური ქუდებით, ითიფალურია (სურ. 3). ამას გარდა ყეენობაში ყეენის როლის შემსრულებლისთვისაც დამახასიათებელი იყო ტარება [illegible] ძელის თუ ხისაგან გამოთლილი ფალოსისა, რასაც „კონკილა" ეწოდებოდა (ს. მაკალათია, ფალოსის კულტი საქართველოში, მიმომხილველი, ტ. 1, გვ. 130. ი. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ტ. I, გვ. 65-67), ისე რომ თვით ითიფალობითაც, წოწოლა ქუდითაც, სამოსით, კალათით და აბგათი ბიჭვინთის ქანდაკებაზე გამოსახული ფიგურა უძველეს ქართულ სინამდვილეში, ქართულ სანახაობრივ კულტურაში პოულობს თავის ანალოგიებს და ამ კულტურის ტრადიციის მატარებლის გამოხატულებად უნდა წარმოვიდგინოთ.

ნიღაბი. თავის აღწერილობაში არქეოლოგი რ. რამიშვილი აღნიშნავს: ქანდაკებას გრძელი, სხეულთან შედარებით დისპროპორციული თავი აქვს. ქოსაა, აღსანიშნავია, რომ პროფილი მარჯვენა მხრიდან ოდნავ მომრგვალოა, ხოლო მარცხენა მხრიდან — მოწყვეტილი, სწვდიანი. დაკვირვება სწორია, მაგრამ მკვლევარი ამაზე ჩერდება და აღარ გამოაქვს დასკვნა, რაც დაკვირვებიდან თავისთავად გამომდინარეობს. ანტიკური ხანის ნიღბისათვის დამახასიათებელი იყო, რომ ნიღბის ნახევარ მხარეზე გამოხატული ყოფილიყო სერიოზულობა, მოწყენილობა, ხოლო მეორე მხარეზე — მხიარულება. ეს აუცილებელი იყო, რადგან სცენაზე მსახიობს უნდა გამოეხატა სულიერი განწყობილების სხვადასხვაობა. განწყობილების ცვლილებისას მსახიობი ნიღაბს არ იცვლიდა, რადგანაც პროფილში მსახიობი მხოლოდ ნიღბის ერთ მხარეს უჩვენებდა მაყურებელს; მისთვის საკმარისი იყო, რომ შებრუნებულიყო და ახლა ნიღბის მეორე მხარე მიექცია მაყურებლისაკენ, რომ განწყობილების ცვლილებაც გამოხატულიყო (გ. ემიხენის დასახ. შრომა, გვ. 179-180). მეტად საინტერესოა, რომ სწორედ ასეთი სხვადასხვა განწყობილების გამომსახველია ვანში ნაპოვნი აქტიორული კომიკური ნიღბის მოდელი. ბიჭვინთის ქანდაკების ფიგურას, ამისდა მიხედვით, ნიღაბი უნდა ეკეთოს და მართლაც, თუ კარგად დავაკვირდებით, ნიღაბი თავსაბურავზეა მიმაგრებული და იგი ერთ მთლიანს წარმოადგენს — ქუდნიღაბს. ასეთი ახსნისას, სრულიად გასაგები ხდება ის დისპროპორცია, რაც ქანდაკების სხეულსა და თავს შორის არსებობს, ნიღაბი, ხომ თავთან შედარებით გადიდებით დიდი იყო, რომ უკეთ დასანახი ყოფილიყო ათი-ათასობით მაყურებლისათვის.

ანალოგიისათვის მივუთითებთ ანტიკური ნიღბების მასალაზე. ერთ-ერთი რომაული კომიკური ნიღაბი ქოსა კაცს გამოხატავს (რომაული ლიტერატურა, პროფ. დარატანის რედაქციით, გვ. 101; სურ. 5).

ქოსა. ბიჭვინთის ქანდაკზე გამოხატული ნიღბოსანი წარმოსახავს ქოსას (პოპლიკას, კოსაკს — ხაბა). თუ ჩვენ მივმართავთ ქართულ ზეპირსიტყვიერებას, სადაც დაცულია უძველესი ქართული მხატვრული სახეები, ვნახავთ, რომ იქ ქოსას — ქოსატყუილას, ქოსამატყუარას, ქოსაცრუპენტელას, ქაჩალს, ღატაკტყუილას) განსაკუთრებული ადგილი უკავია, მას შესწევს სიბრძნე სიცრუისა და მით ჯობნის მჩაგვრელთა ავკაცობას, ვერაგობასა და მტარვალობას.

შევადაროთ ერთმანეთს ქართული ეპოსის ქოსატყუილა (იხ. აჭარის ხალხური სიტყვიერება, გვ. 149; ალ. ღლონტი, გურული ფოლკლორი, გვ. 189; ქს. სიხარულიძე, საბავშვო ფოლკლორი, გვ. გვ. 149, 155, 172; ხალხური ლექსები და ზღაპრები შეკრებილი ტ. ნათაძის მიერ და სხვ.) და ბიჭვინთის ქანდაკება.

ხალხური ზეპირსიტყვიერებით ქოსატყუილა არაფრის მქონე, ღატაკი, გაჭირვებული, ყმადყუფული, გუდააკიდებული მოჯამაგირეა. ბიჭვინთის ქანდაკებაზედაც ღარიბ-ღატაკი, არაფრისმქონეა გამოსახული. ქოსატყუილას გუდასავით ბიჭვინთის ქანდაკებით გამოსახულ კაცსაც გუდა, საზურგული აქვს აკიდებული („ტყუილების გუდა"?).

ხალხური ეპოსით ქოსატყუილა მეხუმრალაა. გურული თქმულებით ქოსატყუილას მდიდრის ქალიშვილი მოეწონება. მდიდარს მოჯამაგირედ დაუდგება, ტყუილით იმდენს მოახერხებს, რომ მდიდრის ქალიშვილს დაითანხმებს და თავის ნებას დაიცხრობს. ბიჭვინთის ქანდაკზე გამოსახული ქოსაც რომ მეხუმრალაა, იქიდან ჩანს, რომ მისი ხასიათი და ბუნება ფალოსის ხაზგასმული გამოჩენით არის გამოხატული.

ხალხური ეპოსით ქოსა მესტვირეა, აჭარული თქმულებით — ჭიბონზე დამკვრელი. ღატაკ-მატყუარა-მესტვირეს ცოლიც მსახიობი. „ქმარმა დაუკრა სტვირი, ცოლმა დაამღერა. ცოლს გაუჯავრდა. კარგა არ მღერით, მივარდა დანით, ყელში გამოუსვა, ცოლი დავარდა ძირს, მოკვდა. კაცმა დაუკრა სამგლოვიარო. მერე სამხიარულო დაუკრა. ქალი წამოხტა, თამაშობდა, ხტოდა". ბიჭვინთის ქანდაკებითაც მიმღერის (მსახიობის) მიერ განსახიერებული ქოსა არის გამოხატული.

დასკვნა. ყოველივე ამის საფუძველზე შეიძლება ვიფიქროთ, რომ ბიჭვინთის გათხრებმა მოგვაპოვა ძველი ქართული სიმღერის (კომედიის) ქართულ სანიღბულში (თეატრონში) სამღერალზე (სცენაზე) მიმღერის (კომიკოს მსახიობის) მიერ განსახიერებული ქოსატყუილა (პოპლიკა), რომელიც ძველი ქართული სიმღერისმწერლობის (კომედიოგრაფიის) ერთ-ერთი მთავარი პერსონაჟი უნდა ყოფილიყო.

ქოსატყუილას ნიღაბი დასაბამს პოულობს ძველ ქართულ წარმართულ მითოლოგიაში, სიტყვის მოჭრის ოსტატობასა და სიტყვის მაგიაში. — მონებისა და მიწათმოქმედთა მშფოთვარება — აჯანყებათა პირობებში ქართულ კომედიაში საპატიო ადგილი უნდა დაეჭირა ქოსატყუილას (მოპლიკას) ნიღაბს. ქოსატყუილა ხომ ხალხური ეპოსით მდიდრებზე — ვაჭრებზე შურისმაძიებელი გმირია, ის ვაჭრებს ხოცავს და თან მათ შანს უგებს: „ეხლაც გაყიდით ხალხს? ეხლაც მოატყუებთ ხალხს?" (ქს. სიხარულიძე, საბავშვო ფოლკლორი, გვ. 152). აი სწორედ ასეთ ქოსატყუილას განმსახიერებელი მსახიობი უნდა იყოს წარმოდგენილი ბიჭვინთის გათხრებით მოპოვებულ ქანდაკებაზე. ქართული სოციალური დრამა შორეულ წარსულში პოულობს სათავეს.

დიმიტრი ჯანელიძე



სურ. № 1.



სურ. № 2.



სურ. № 3.



სურ. № 4.



სურ. № 5.

წვიმაში

თენგიზ კაკუშაძე

ნეტავი რატომ მაგონდება ყოველ ქროლაზე,
ივნისის წვიმა, როგორ ტირის მეჩხერ ზოლაზე,
ან წვიმის წვეთისაგან ჩამოღვენთილ ბლის ხის ტოტებად.
შენ სველ სხეულზე სველი კაბა რად მაგონდება.
ლეღვის რტოსავით ილუნება, ისევ სწორდება,
იმედებივით ჩქრება, ჩქრება და მეორდება.
ო, რამდენი რამ იგრძნობა და არ ითქმება,
როგორც ჭიმკრები სველ ლაქებში ისე ინთქმება.
ქარი მეხვევა შემომხვდარი წვიმის წვეთებად,
წვიმის გუბეებში დარჩენილი სხივი ენთება.
ქარი იმალება სიჩრდილეში შენ გაშლილ თმებად,
სულს ხასხასა ეფინება ვით შელამება.
ერთი იმედი მომიძღვება ასეთ თავსხმაში,
რომ დამიხმარებ ამ სალამის თმების ვარცხნაში.

პოეტის ხმა

ოთარ ჭილაძის „რკინის საწოლის" გამო

ამ პატარა კრებულის ავტორი დაძაბული სულიერი ცხოვრებით ცხოვრობს და ადამიანებთან მისი შეხმიანება მუდამ ინტენსიური ფიქრის ნაყოფია. ამჯერად უკვე ჩვენს წინაშე მომწიფებული პიროვნება დგას. მისი ლექსები თითქმის მთლიანად ერთი „მელოდიური გასაღებით" არის დაწერილი. მათ საერთო ტონალობა აქვს, ეს ლექსები თითქოს ერთმანეთს ავსებს, ერთმანეთს აგრძელებს. პოეტის სამუშაო ოთახში ფართოდ გაღებული ფანჯრებით შემოდის ჭრელი ცხოვრება. რადიოტალღებს, ტელევიზორის ეკრანს საოცარი სისწრაფით შემოაქვს შორეული ამბები. არის მეზღვაურთათვის „სიჩუმის წუთი", როცა ყველა ნავსადგური უხმობს განსაცდელში მოხვედრილ გემებს. პოეტის წარმოსახვას აეროპორტები, ნავსადგურები და მოხმაურე მატარებლების ბუღები ათრთოლებს. [illegible] გაშლილ ადამიანებზე ფიქრობს, რადიოტა გულმოდგინებით იჭერს ეთერში დაკარგულ ხმებს.

უპირველესად ო. ჭილაძის წიგნში სულიერი ცხოვრების ამგვარმა სიფართოვემ, მისი მღელვარე ფიქრების დიაპაზონმა მიიქცია ჩემი ყურადღება. კრებული იწყება ლექსით „სამრეკლოების მდუმარე ჩრდილში" და თავდება ლირიკული პოემით „ადამიანი გზათა სივრცეში". პირველი მღელვარე რეპორტაჟია ესპანეთში ფრანკოს ჯალათების ხელით მოკლულ პოეტ მანუელ მორენო ბარენსიაზე. შორეში თავისიანების მიერ დახვრეტილი ამერიკელი ჯარისკაცი [illegible], ჯარისკაცი, რომელმაც არ ესროლა პანამელ პატრიოტებს. ეს არ არის ჟურნალისტური საგაზეთო ინფორმაციები. აქ ერთმანეთს ეთანხმება პოეტის ხანდისი და შთაგონება. ამ ლექსების კითხვისას გრძნობ როგორ ეშინია ო. ჭილაძეს სიყალბისა, [illegible] ფრაზისა, ხმის ჩახლეჩამდე მისული ცრუ პათეტიკისა. მისთვის პოეტის სიკვდილი მრავლისმეტყველი ფაქტია. ესპანეთში, სადაც დღემდე დაძრწის მადრიდთან დახვრეტილი ფედერიკო გარსია ლორკას აჩრდილი, ისევ ესროლეს პოეტს. ისტორია არაფერს იმეორებს, მაგრამ პოეტების ბედი ხშირად ერთმანეთს ჰგავს. პოეტები ეცემიან ტყვიისგან, [illegible], მაგრამ ისევ ფეხზე დგებიან და მიჰყვებიან საუკუნეებს. პოეტის გულისკენ წასული ტყვია საუკუნეებში ხმიანობს და სამართლიან შურისძიებას მოითხოვს. პოეტის მოკვლა შეიძლება, მაგრამ მისი დამარცხება შეუძლებელია.

ამ ლექსის სტრიქონებს გადაჰყავხართ გარსია ლორკას ანდალუზიური მოტივებით გამთბარ ესპანეთში, ტორეადორების გიტარებით აჟღერებულ სიმღერებში. გახსენდება ამ ოცდაათიოდე წლის წინათ [illegible] ლექსებში ატეხილი გრენადის ზარების რეკვა. ასოციაციის ძალით მაგონდება მამაცი და ბრძენი ჰემინგუეის ნათქვამი: „როცა ზარი რეკს, იგი რეკს შენთვისაც". ამგვარმა წარმოსახვამ აშალა პოეტის ფიქრები და თბილისიდან მადრიდის ქუჩებში გადაიყვანა. აქ ორჭოფული ლაპარაკი არ შეიძლება. ტყვიამ თქვა თავისი სიტყვა. ახლა სიტყვა ტყვიაზე მძლავრი უნდა იყოს და პოეტი პოეტის სიკვდილზე მღელვარედ, პირდაპირ, მართალი მრისხანებით წერს. მისი სტრიქონები აღსავსეა კეთილშობილი შურისგების სურვილით. ისევ ნათდება ჩვენს წინაშე ესპანეთის შავი ცა და ფორთოხლის ბაღებში იღვრება სისხლი. ისევ მიუტანა ჯალათმა „ცოდვილი ხელით ცოლსა და შვილებს, პოეტის სისხლით ნაყიდი პური". აქ არ არის დაუცველის დატირება. არის რისხვა, რომელიც სიკვდილზე ძლიერია. ეს რისხვა ჭრილდება ჯალათის ცოლზე, მის შვილზე, ყველაზე, ვინც პოეტის სიკვდილში დამნაშავეა. და ჩნდება ლექსში სახე დედისა, თავის მწუხარებაში ამაღლებული, ამაყი და ძლიერი:

ხედავ,

კედელთან მიხვეტილ ძონძებს,
ბებერ მეშტივით შეკუმშულს
მტვერში, —
ეს წუხანდელი მსხვერპლის დედაა.
ციხის კედელთან დევს. როგორც ნაღმი
აფეთქებამდე გაუქმებული.
ის აქ იქნება, სანამ ამ ქვეყნად
იქნება ციხე...

ო. ჭილაძის ასოციაციები ხშირად დაქსაქსულია, ან პარადოქსული, შინაგან ლოგიკას, სიმწყობრეს მოკლებული. მისი თვალით დანახული ქალაქიც მუდამ ნერვული, დაძაბული, ზოგჯერ შეუცნობელი სირთულით ცხოვრობს („ვეფხვი შემოდგომა"), დანახული გარემო ხშირად მკაცრია, თითქოს „არაპოეტურიც", მაგრამ განწყობილებიანი და ნაგრძნობი.

ძლივს ჩერდებოდნენ ხევები ფეხზე.
წვიმას ჩამოჰქონდა სილა და ხრეში
და დინამიტით დახოცილ თევზებს
მჰავდნენ ფოთლები ნიაღვრის ხელში...

ეს დაწყვეტილი ასოციაციები ო. ჭილაძეს თითქოს მოგზაურობის შთაბეჭდილებებიდან, მატარებლების ხმაურით სავსე სადგურებიდან ან მუდამ მოძრავი ქუჩებიდან გამოჰყოლია. ზოგჯერ მხოლოდ განწყობილებაა და სხვა არაფერი. არც მოულოდნელი შედეგი ან რაიმე დასკვნა: „ვერ შევეჩვიე წვიმას და ქუჩებს, და ძლივს ვიწყებ ნისლიან თვეებს. ხოლო [illegible] ოთახში ვიღაც თავზეწით ჩუმად და ფრთხილად ცხოვრობს. წვიმა კი მოდის და დიდი ბაღი იარუსივით ლიალებს ისევ და სველ სარკმელში მოქცეული ქუჩას ჰგავს, როგორც გალიაში ფრინველი". ამნაირ ფიქრებსა და სურათებში მოდუნებულ ქუჩებს სიცოცხლეზე შეყვარებული კაცის შინაგანი მოუსვენრობა ცვლის. პოეტს თანაბრად აწუხებს დამჭკნარი ფოთლებისა თუ ომში დაღუპული ჯარისკაცების ბედი („შესავალი"). მის პიროვნებაში იბრძვის ადამიანური სრულყოფილების მიღწევის სურვილი. როგორც გამხმულ თოკს, ბავშვობიდან მიჰყვება მისი წარმოსახვა „რთული ცხოვრების" გზას. ამ თოკის მეორე ბოლო ალპინისტის, ჯარისკაცის ძლიერ სხეულს მიაქვს და პოეტის მიზნებს მწვერვალისკენ უხმობს. „როცა შემოდის სულში მინდია ყველაფრის მცოდნე და სალოდავი", პოეტის პიროვნება ეზიარება მაღალადამიანურობას. და ეს ყველაფერი ცხოვრების ჭვრეტით კი არა, ცხოვრებაში ტრიალით, მის ქარიშხალში ჩაბმით მიიღწევა. ამგვარი ქვეტექსტი აქვს „შესავალს". ამიტომ დგებიან პოეტის წარმოსახვაში დაცემული ჯარისკაცები. საფლავები ლაპარაკობენ. სამარის ლოდებისა და ძეგლების მდუმარებაში ისმის დაცემულთა კივილი. იწყება ხილვა იმ დღეებისა, „როცა ქვეყანა სისხლში ცურავდა, და ჯარისკაცის საბრალო გვამი უძრავი იყო როგორც სურათი...", „ისე კვდებოდნენ თითქმის ყოველდღე მონატრებული ცას და სინათლეს"... „მაგრამ სხვებისთვის ისევ ემინავდა სამარესავით გრილი მიწური"... „და ღვთისმორწმუნე დედების ხათრით პირჯვარს იწერდნენ ჯარისკაცები"..., „და სანიტარ ქალების ცეცხლით იმუხტებოდა ჩემი თვალები"... „და ხან მინდორზე და ხან ზღვის ფსკერზე სამარის ბორცვი ჩნდებოდა ხოლმე"..., „ვიღაც უცქერდა სიზმარს მაშინ, ქვეყანა სიზმრად იყო ჭიდილი"... ამ სტრიქონებმა უნდა დაიტიოს ოცდაათი მილიონი საფლავის სევდა. აქ არის ბავშვის სულში ქარსად ქცეული შიშისა თუ შეკრთომის ასოციაციები, დაფიქრება „უცხო სამარის ბედზე", და „მზის გადარჩენის" დიადი დღეების განცდა... უცნობი ჯარისკაცების საფლავთა ხილვა თავდება ყვავილებით. უკვდავი ცეცხლი ანთია პოსტამენტებთან და გადარჩენილი გაზაფხული ყვავილობს. საფლავებიდან, „ჩაძირულ გემთა აჩმებიდან", წამოიმართება უკვდავი ჯარისკაცი და პოემის თემა ამაღლებულ სიმბოლიკაში გადადის.

პოემის კომპოზიცია აქ გარკვეულ დასრულებას პოულობს. და ის რაც ზემოთ ცოტა „გაქცეულ ნაკადებად" გაწყვეტებოდა, ერთიან რკალში ეკვრება. აქ არ არის ზეაწეული პარადულობა და ჭარბი სიხარული. პირიქით: „და რასაც ახლა უბრალოდ ვყვები, სულში ქვებივით მეწყო აქამდე". იმის თქმის დამუშავება ამგვარი დრამატული ინტონაციის უჩინრად ო. ჭილაძისთვის არც იქნებოდა ორგანული. მის ხმას ბუნებრიობას დაუკარგავდა. პოეტს არანაკლებ სძულს სენტიმენტალური ცრემლების ღვრა. პოემის ფინალი მას აპოთეოზში აქვს:

...და ის სამარეც.
როგორც სარკმელი
მზისთვის ყოველთვის იქნება ღია.

მზის სიმბოლიკას მაღალ რეგისტრში გადაჰყავს პოეტური თემა და ახლა უკვე პათეტიკური ფრაზებიც, თუნდაც ასეთი: „მიყვარს ქარხნების მძლავრი გუგუნი და ფეთიანი მატარებლები", ან „მიყვარს ქვეყანა, მიყვარს და ვუცდი, როდის მოისხამს უდაბნო ყვავილს", არ უხამუშებს სმენას. იყო პერიოდი, როცა პოეტი ჭარბად გატაცებული იყო საკუთარი სულის ჭვრეტით, მოჯარებული „ფსიქოლოგიზმით". და მის ლექსებს კამერულობის ელფერი დაჰკრავდა. ახლა პოეტის სულიერი ინტერესები უცნობ სფეროებს მისწვდა. მან გააფართოვა თვალსაწიერი არც და ირწმუნა, რომ „ყველაფერს სჯობია ხალხი", „ხალხი გასწავლის ყველაზე კარგად სიკვდილი რისთვის და როდის არ ღირს". ამგვარი სულიერი წვის გზას დიდი ბეთჰოვენი „ტანჯვის გზით სიხარულის წვდომას" ეძახდა. ვერც ერთი ნამდვილი შემოქმედი, დიდი თუ პატარა, ვერ ასცდება ამ გზას. ამიტომ მიმგვლ ფრაზად არ რჩება ჩემთვის ო. ჭილაძის პრინციპული სტრიქონები „შესავლის" ფინალში:

და იყო შენი ქვეყნის ნაწილი
და არა წუთისოფლის სტუმარი.

პოეტმა იპოვა სულიერი ცხოვრების უტყუარი ფესვი, ერთ სიბრტყეზე დაინახა დიდი ცხოვრება და საკუთარი ოჯახი. „თაკოს და ზაზას" ავტორი ასცდა დამტკბარი სენტიმენტალობის გზას. საკუთარი შვილების სიყვარულზე მეტად შინაურული საუბრის ნაცვლად მან თავის ქალ-ვაჟის სიცოცხლე საქართველოს ისტორიის კვამლში დაინახა და ამით კონკრეტულ მიზეზს ლექსისას განზოგადებული სახე მისცა. ამგვარ განათებაში მშობლიური ქვეყანა უთვალავ თაკოსა და ზაზას ცხოვრებად მოჩანს. მაგრამ ჟამთა სვლაში ისინი იგრძნობენ შორეულ ფესვებს, რადგან „გზა, დაწყებული წინაპრის ქოხთან დღეს შენი გზაა და შენთვის მიდის". როცა პოეტი ასე იაზრებს თავისი ერის ყოფას, აღარ რჩება ინდივიდუალისტური კარჩაკეტილობისა და ვიწრო კამერულობისთვის.

ო. ჭილაძეს ძნელად შეეჩვია ჩვეული მკითხველი. მისი პოეტიკის „გაშიფვრა" ადვილი როდია. ზოგი ნაადრევად გაიკვირვებს ისევ „ბუნდოვანებაზე" ხომ არ იქნება ლაპარაკით. ღმერთმა დაგვიფაროს პოეტს შეჩვეული ირაციონალობა დაუწამოთ. ო. ჭილაძე ძირითადად ნათელი სტილის პოეტია. მისი ასოციაციები არსებითად რეალისტური ბუნებისაა და ესთეტიკური შედეგიც ცხოვრების დრამატული მშვენიერების სახით ვლინდება. და მაინც მისი პოეტური ფორმა ზოგჯერ შთანაფიქრის თუ ქვეტექსტის ზედმეტი სირთულით ხასიათდება. „პოეზიის ინტეგრალები", როგორც იტყოდა გალაკტიონი, აქ თვით მასალაში არა ძევს. უფრო ზუსტად გარკვეული სირთულე უმთავრესად თვის დაუძლევლობაში იჩენს თავს. „ცირკი" ამ მხრივ ბევრი რამის მანიშნებელია. მართალი გითხრათ ბოლომდე მე ვერ ამოვიცანი ამ პოემის აზრობრივი ქვეტექსტი. იგი ჩემთვის პოეტური ალეგორიის უსისტემოდ მიმოფანტულ ლირიკულ ფრაგმენტებად დარჩა. [illegible] პრიმიტიული, მაგრამ ასეთი „სირთულეც" მეტისმეტია. პოეტის შინაგან ტკივილებზე, მეგობრის ღალატზე თუ სასიყვარულო დრამაზე ლაპარაკი და ცირკის ანალოგია ჩემთვის გაუგებარი რჩება.

მესმის, როცა შეგნებულად არ ახურდავებენ სათქმელს, როგორც იტყვიან, არ აუბრალოებენ, მაგრამ მე პირადად ვერც იმას შევეგუები, როცა წაკითხულს რამდენჯერმე უნდა დაუბრუნდე, რათა მისი აზრი ამოიცნო. აქ შეიძლება ისეთი რამ მიაწერო პოეტს, რაც მის ფიქრადაც არ ჰქონია, ან მისი განზრახვა შეუმჩნევლად გაგიქროს თვალსა და ხელს შუა.

ლირიკული პოემა „რკინის საწოლი" ბევრად მთლიანია. მისი კომპოზიციაც, სახეთა სისტემაც გარკვეულ შთანაფიქრს ემსახურება და შინაგანი ლოგიკურობით ხასიათდება. აქ პოეტი ლიტერატურულ ასოციაციებს მიჰყვება და ძვირფას შემოქმედთა სახეებს დრამატული პლანით წარმოიდგენს. [illegible] ბის სიმბოლოა. ქალაქის ფონზე [illegible] ტრისტანის იზოლდა"... „და ქვესკნელიდან გამოსულ დანტეს შემკრთალი ხალხი სიმართლეს სთხოვდა"..., „ბოლო ჰამლეტის ცნობილი ლანდი მიფარფატებდა ოთხივე მხარეს..." ამ დიდებულ აჩრდილებში იგი თბილისის დიდ პოეტს ხედავს და ხელოვანის ცხოვრება მძიმე გზად ესახება. ო. ჭილაძე აქ პოეტის ცხოვრებას იაზრებს, უკიდურესი გულახდილობით გვიჩვენებს დრამატული პიროვნების მშვენიერებას და სევდას: „ყველა სიმღერა ტკივილით ჩნდება, ყველას დასდევს ტკივილის კვალი"... მაგრამ მისი „ატკიებული ფიქრები" სიცოცხლის უარყოფას კი არა, მის დამკვიდრებას მიელტვის და პოეტის განწყობილებებში მაღალი სიხარულის ზარები ხმიანობენ. აქ ბევრ რამეში შეიძლება ეკამათო პოეტს, არ დაეთანხმო. ზოგჯერ ფერთა გამუქებაც შენიშნო, მაგრამ სიცოცხლის სიყვარულში დაეჭვება უსაფუძვლოა, რადგან „ამქვეყნიურ ვნებებში ყელამდე დგომა" მისთვის უცვლელ პრინციპად რჩება.

ო. ჭილაძის პოეზია, თავისი დრამატული ბუნების, ნერვული დაძაბულობის, მიუხედავად, სიცოცხლის სიყვარულითა და პატრიოტული გრძნობით არის შთაგონებული. პანამის არხთან მოკლული ამერიკელი ჯარისკაცის, ვიეტნამელი პატრიოტების თუ დახვრეტილი ესპანელი პოეტის ბარენსიის მიმართ გამოჩენილი მოქალაქეობრივი ინტერესი ცხადყოფს ო. ჭილაძის მხატვრულ პოზიციას. იქნებ ჯერ კიდევ დუღილის პროცესშია მისი შემოქმედება, მაგრამ ერთი რამ ცხადზე უცხადესია: მან კარგად იცის საით მიდის, ვის ეძახის და საითკენ ეძახის. ეს კი ყველაზე მთავარია ჩამოყალიბებული ტალანტის მომავლისთვის.

გიორგი ხუხაშვილი

ლექსში ხმაურობს ცხოვრება

მკითხველისათვის ამ ათიოდე წლის წინათ გახდა ცნობილი მურმან მაჭავარიანის პოეტური სიტყვა. მან პირველსავე ლექსებში გამოამჟღავნა საკუთარი გზის ძიების დიდი უნარი. მ. მაჭავარიანის კალამი ყოველთვის პოულობს საჭირო და ლონიერ სიტყვას ნაფიქრ-ნაგრძნობის გადმოსაცემისათვის. პოეტის ლირიკული ხმა მჟღერი და ომახიანია. მის ლექსებში თქვენ იშვიათად შეხვდებით ტრაფარეტულ გამოთქმებს. იგი ყოველთვის ცდილობს სათქმელი ახლებურად გვითხრას. სიყვარულზე წერს, მშვენიერებაზე თუ [illegible] ქარიშხლიან ცხოვრებაზე, იგი ყოველთვის ახერხებს სათქმელს საკუთარი სტილი მოუნახოს. როცა პოეტი რიხიანად ამბობს: „ამ ვიწრო ქუჩაში კომუნიზმი ვერ შემოეტევა", თქვენ ნათლად გრძნობთ, რომ კომუნიზმი არის ბედნიერება და სიკეთის ბუმბერაზული ძალა, განსახიერება ახოვნებისა და ტიტანურობისა, რომელიც მძლავრად მოაბიჯებს, აფართოებს მთელ სამყაროს და ღიად ნათელს აქცევს.

მ. მაჭავარიანის შემოქმედებითი პრაქტიკა ემყარება ქართულ კლასიკურ პოეზიაში დამკვიდრებულ ფორმებს, თუმცა მისი მრავალი ლექსი გამოირჩევა თავისებური პოეტური სინტაქსით. მის ნაწარმოებებში ჩაქსოვილია გულწრფელი პატრიოტიზმი, ხალხური გონებამახვილობა, უწყინარი იუმორი. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩევა ციკლები „მითიურები" და „დიალოგები წვიმაში", რომლებშიც ორიგინალურად არის გააზრებული ხალხის ზნეჩვეულება, სოფლის ცხოვრების სურათები და ყოფითი დეტალები. აქ მკითხველი თითქოს ისმენს იმერელი გლეხების ტკბილ საუბარს, ხედავს მათ დამახასიათებელი ჩაცმულობით და ქცევის მანერებით.

მ. მაჭავარიანს აქვს ერთი მეტად საინტერესო ლექსი, რომელსაც ეწოდება „ზღვიდან ამოდის ხოლმე ამ დროს რუსთაველის ლანდი", სადაც ვკითხულობთ:

ენამზეობა თუ ოდესმე
იყო საჭირო,
ყველაზე მეტად საჭიროა
ამჟამად იგი.

ეს არის მისი შეხედულება პოეზიაზე, რომელსაც ყველაზე მეტად ახლა, ვიდრე ოდესმე, მოეთხოვება უდიდესი ძალა, რათა შესძლოს ჩვენი დროის კოლოსალური მოვლენების შესატყვისი ასახვა.

პოეტი უმღერის სამშობლოს, დედამიწის მარადიულ მშვენებას — ადამიანს, აზრს და შინაარსს რომ ძლევს უსაზღვრო სამყაროს, აღიდებს სიყვარულს, მეგობრობას, გაზაფხულს, [illegible] ბუნებას რომ აღვიძებს და ნაირ-ნაირი ფერებით მოსავს მინდორველს, მთა-ბარს, სიცოცხლის ხალისით რომ ავსებს ყველასა და ყველაფერს.

მშვენიერია პოეტის მიერ დახატული შემოდგომა, ამ ფერწერულ ტილოზე თქვენ ხედავთ სიმინდის ტაროს, ყურძნის კრეფას, აქ ფუნჯის მძლავრი მოქნევით დახატულია შემოდგომის პეიზაჟი და მოსავლის აღების სურათები. აი როგორი შეგრძნობა ზამთრის მოახლოებაა:

მთებზე გადმოდგნენ ზამთრის
ჯარები, —
გადმოათეთრეს მთათა წვერები...
დაფრთხნენ ცაზები,
დაფრთხნენ ქალები,
დაფრთხნენ ცხენები,
დაფრთხნენ ცელები,
— თავს უშველეთ! —
იქექა ვერხვმა...
და
რაც კი იყო იმჟამად ხილი
უნაბი,
კომში,
ატამი,
ლელვი —
ყველამ ბეღლისკენ იბრუნა პირი.

• • • • • •

ვაშლებმა სასწრაფოდ დაცალეს
ტოტები
და სახლის თავზე მოთავსდა ყველა.
ღრუბლებმა დაფარეს ცის ლურჯი
კამარა,
ურმებმა ამოავსეს შარა.
წელზე შემოირტყა სასწრაფოდ
ქამარი, —
ეზოიდან გაიქცა ჩალა.

ლექსში „ზღვიდან ამოდის ხოლმე ამ დროს რუსთაველის ლანდი" პოეტი ასახავს თანამედროვე ქალაქის ცხოვრების დამახასიათებელ დეტალებს, მის მჩქეფარე, მოუსვენარ და მღელვარე ყოფას, აღიდებს კოსმოსში შეჭრილ ადამიანებს და ოცნებობს შექმნას ისეთი ნაწარმოები, რომელიც უპასუხებს ბობოქარი ეპოქის მოთხოვნილებებს.

ვგრძნობ:
ბევრი გრძნობა დავკარგე ძველი,
ვგრძნობ:
ვიძენ გრძნობებს —
სრულიად ახალს...

ამას მოწმობს თვით ეს ლექსი, სადაც ცხოვრება ასე ძალიან ხმაურობს. პოეტი სოციალურ მგრძნობიარეა. ყველაფერი, რითაც ჩვენ ვცოცხლობთ და რაც ჩვენში ცოცხლობს, როგორც სიკეთე, მის სულში პოულობს გამოძახილს. დიდია მასში სიცოცხლის წყურვილი, მაგრამ ეს წყურვილი პოეტში კიდევ მეტად ძლიერდება [illegible] ლექსისაგან [illegible] შემდეგ:

ლექსს როცა დავწერ
და სახლიდან გამოვალ გარეთ, —
და იმ დროს თბილი საღამოა,
და ოდნავ ბნელა...
— სალამი, ცავ!
— გამარჯვება, ნათელო მთვარევ!
ყველაში მე ვარ
და
ჩემშია იმდროს ყველა...

თანამედროვე ქართული პოეზია ცხოვრების ნათელი ხედვით, დიდი პოეტური ტექნიკითა და შემოქმედებითი ხერხების მრავალფეროვნებით გამოირჩევა. ამ მრავალფეროვნებას მ. მაჭავარიანის ლექსებით ერთი ახალი შტრიხი ემატება. მაგრამ მ. მაჭავარიანის ყოველი ლექსი როდი შეიძლება ჩაითვალოს სრულყოფილ პოეტურ მოვლენად. ზოგიერთი მისი ლექსი სქემატურია.

მზე ალხუნებს...
ცხრაა სრული...
ფურნის პურის
ვიგრძენ სუნი...
ვხვამ ნატახტარს.

პოეტი ხშირად მიმართავს დატეხილ სტრიქონებს, რასაც ზოგჯერ აზრობრივი პრინციპი უდევს საფუძვლად, მაგრამ ზოგჯერ გაუმართლებელია. სტრიქონების ასეთი დატეხვა მარტო თოთხმეტმარცვლიან ლექსებში კი არ გვხვდება, არამედ რვამარცვლიან ლექსშიც კი:

და ვახტანგ მეფე მარტოკა —
უზანგოდ და [illegible]...
მაღლიდან ხანა:
სირბილით
კიბეზე
კაცი
ახტოდა...

მ. მაჭავარიანმა გამოაქვეყნა რამდენიმე ლექსი, რომლებიც არ შეესაბამება პოეტის საერთო სულიერ განწყობილებას და მის იდეურ-მხატვრულ კონცეფციას. ეს თვით პოეტმაც იგრძნო და აღნიშნული ლექსები სარეცენზიო წიგნში არ შეიტანა. თვითკრიტიკის ეს თვისება ყველა შემოქმედისათვის დიდად საჭირო და სასარგებლოა.

ვლადიმერ ჯიბუტი

---

* მ. მაჭავარიანი, „ლექსები". „საბჭოთა საქართველო", 1964 წ.

საგაზაფხულო გამოფენის ექსპონატებიდან



სტუდენტების საღამოზე. მხატვარი რ. თორდია.

უილიამ ფოლკნერი

ბისლისეული ცხენი

უორნერის დუქნის, ბამბის საწმენდი მანქანის, საცეხველიანი წისქვილის, იქაური გაცემული სამჭედლოს, სკოლის, ეკლესიისა და ოცდაათიოდე სახლის გარდა ფრანგის ხევში იყო კიდევ ჩრდილოვანი მიწის ნაკვეთი, სადაც იდგა უმზოდ აჩონჩხილი, ალაგ ფერფლი და ალაგ ძელური, ალაგ ზემოდან დაზიანებული შეუღებავი შენობა, რომელსაც ეწოდებოდა „ლიტლჯონის სასტუმრო". აქ ათევდნენ ღამეს და სადილობდნენ [illegible] წამსვლელ-მომსვლელი ვაჭრები თუ დალალები. გრძელი ვერანდის კედლის გასწვრივ სკამები იყო ჩარიგებული.

იმ საღამოს რეტლიფმა ფურგონი და ცხენები თვალში დააბინავა და ნავახშმევს ვერანდაზე მოკალათდა მეზობელი სახლებიდან გადმოსული ხუთი თუ ექვსი გლეხკაცის გვერდით. ეს ხალხი უთმისოდაც ყოველ საღამოს აქ იყო, მაგრამ დღეს მზის ჩასვლამდე შეკრებილიყვნენ და კედელთან მიმსხდარნი უორნერის დუქნის ბნელ ფასადს [illegible] დროდადრო. ასე იკრიბება ხოლმე ხალხი, რათა მდუმარედ უმზიროს ლინჩის კანონით გასამართლებლის შემდეგ დარჩენილ ნაცარს, ან კიდევ მისადგომელ კიბეს და ღიად დატოვებულ სარკმელს, რომლითაც ვიღაც გაქცეულა, რადგან დუქანში თეთრკანიანი [illegible] ხელფასზე აეყვანა იმ კაცის მიერ, ვინც ჯერაც ახერხებს ორ ფეხზე სიარულს და არც ჭკუიდან გადამცდარა. ყოველ შემთხვევაში, იმდენი ტვინი კიდევ შერჩენია, [illegible] გაამრიგოს და არა საკუთარი თავი, — ისეთივე გაუგონარი ამბავი იყო, როგორც თეთრკანიანი მზარეული რომელიმე მათგანის სახლში.

— რა მოგახსენოთ, — თქვა ერთმა, — არ ვიცი, რა კაცია ის უორნერის ახალი ნოქარი, მაგრამ სისხლი სისხლია მაინც. ხოდა, თუკი ისეთი შეჩვენებული თვისტომები დაგიდიან, რომ ყოველ წუთას შეუძლიათ თვალის გადაწვა...

— ეგ კი, — გაეპასუხა რეტლიფი. — ოღონდ მე ბევრი ები არაა მზაკვარი კაცი. [illegible], რომ გაბოროტდა ძალიან.

— როგორ გაბოროტდა? — იკითხა ვიღაცამ.

— როგორ და ისე. ადგა და გაბოროტდა, — მიუგო რეტლიფმა. — ჯერ იყო და ის ომისდროინდელი ამბავი შეემთხვა. მაშინ არც ვინმეს უშავებდა რამეს ები, არც ის იყო, [illegible] ან იქითურებს მიმხრობოდა; თავის საქმეს მისდევდა — ვაჭრობდა, ცხენის ვაჭარი გახლდათ, ჩემი ბატონი, ხოდა, არც ვაჭრობაა, მგონი, პოლიტიკასთან რითიმე დაკავშირებული და არც ცხენები. ამ დროს გამოჩნდა ვიღაც კაცი, საკუთარი ცხენიც რომ არასოდეს ჰყოლია, ისეთი, და ფეხში ტყვია დაახალა. გაბოროტდებოდა, აბა რა მოუვიდოდა! ამას მერე ამბავი დაერთო, პოლკოვნიკ სარტორისის სიდედრის მისის როზა მილარდის ამბავი. ები წელში შეუდგა იმ ქალბატონს და მერე ორივენი ერთად ვაჭრობდნენ ცხენებით თუ ჯორებით, ვაჭრობდნენ კაცურად და ხმაურიანად, არც ჩრდილოელების წესრიგება უფიქრიათ და არც სამხრეთელების. და ებს ცხენების და ჯორების მეტი სხვა რამე სატრფიალო აღარც ჰქონდა, ვიდრე იმ ყმაწვილმა, თავისთავს მაიორ გრამბის რომ უწოდებდა, მისის მილარდი არ მოკლა; მერე პოლკოვნიკის ვაჟმა ბაიარდმა და მისმა ბიძაშვილმა ერთი ზანგის ბიჭი არ მოიშველიეს და ები არ გაქაჩეს ტყეში. ხოდა, მერე რაღაც მოხდა — ხეს თუ სხვა რაღაცას [illegible] და [illegible]. ან, იქნება, [illegible]. თუმცა ეს ამბავი უფრო ძირად ვიცი. ასე იყო თუ ისე, ამ ამბის მერე ებს სარტორისებზე გული აიყარა, იმასაც მოეკარი ვერა — კაი ხანს იმალებოდა ტყე-ტყე, ვიდრე პოლკოვნიკმა სარტორისმა თავისი რკინიგზის მშენებლობას არ მიჰყო ხელი და ებმაც გული [illegible] არ დაუგულა. ხოდა, ამ ამბავმა სულ გადარია კაცი. მაშინ ისიც დარჩენოდა, ისევ ალებ-მიცემობისთვის მოეცდებოდა ხელი. ოღონდ ამ დროს პეტ სტემპერს გადაეყარა და პეტმა ხელად დაუკარგა ამის ხალისი. მაშინ საბოლოოდ გაცლებოდა და ის იყო.

— ერთი სიტყვით, პეტ სტემპერს დაუძახა და მერე მაინც თავს უშველა, ბრძანებ? — იკითხა ვიღაცამ. პეტ სტემპერს ამ არემარეზე ყველანი იცნობდნენ. პეტ სტემპერი ჯერ ლეგენდად იყო [illegible], თუმცა ჯერ [illegible] არ [illegible]. მარტო ამ მხარეში კი არა, მთელ ჩრდილოეთ მისისიპსა და დასავლეთ ტენესიში ლეგენდად იყო ქცეული ეს [illegible] ვაჟკაცი, ღია ფერის ფართოფარფლიან ქუდს რომ ატარებდა და ცივი, [illegible] თვალები რომ ჰქონდა. ფურგონში კარავი ედგა, თვითონ ზედ იჯდა, მიმოდიოდა და [illegible], როგორც კარტის მოთამაშე კარტს ჩამოიგდებს ხოლმე მერე კარტის გასაჭრელად. დამხმარედ ერთი ზანგის ბიჭი ჰყავდა, მეჯინიბე, თავისი საქმის ნამდვილი არტისტი, ისეთივე, როგორიც, ვთქვათ, მოქანდაკეა თავისი საქმისა. ამ [illegible] ზანგის ბიჭი შეეძლო, რაც უნდა სულთმობრძავი და [illegible] პირუტყვი მიებარებინათ, შეეძლო ცარიელ ფარდულში, ან სულ ერთია, სხვაგან სადმე, ოღონდ კი ოთხი კედელი ყოფილიყო, და მერე ისეთი გამოეყვანა, მისი მშობელ დედას — [illegible] ვეღარ ეცნო, ძველ პატრონს კი არა.

— ბედმა გაუღიმა, — გაეპასუხა რეტლიფი, — არაფერი მოსწყვია. თუ ვინმე ამოიგდო სტემპერმა, — მისის სნოუპსი. თუმცა თავად მისის სნოუპსი არასოდეს [illegible]. მისის სნოუპსი მაშინ [illegible], თვითონ რომ არ წავიდა ჯეფერსონს სეპარატორისთვის, თუმცა იმთავითვე იცოდა ალბათ — ადრე თუ გვიან მაინც მიიწევდა წასვლა. ებმა კი არ [illegible] პეტ სტემპერისგან ერთი ცხენი ორის საფასურად, უფრო მისის სნოუპსმა. ები შუამავალი იყო მხოლოდ.

სეპარატორის საყიდლად ერთად გავემგზავრეთ მე და ები. ჩვენ, ასე, ერთ მილზე ვცხოვრობდით იმათი სახლიდან. მამაჩემსა და ებს იჯარით ჰქონდათ აღებული მიწა ები ჰოლენდისგან და მე ებთან ერთად ხშირად ვტრიალებდი მათი თვალის სიახლოვეს. იმიტომ, რომ მეც იმასავით [illegible] ვიყავი ცხენების გულისთვის. მაშინ პირველი ცოლი ჰყავდა, ჯეფერსონიდან ჩამოყვანილი ქალი, მაგრამ მერე ერთ მშვენიერ დღეს [illegible] ფურგონი მოაყრიალა, ქალი თავისი ავლადიდებიანად შიგ ჩასვა და [illegible] — თუ როდისმე კიდევ [illegible] ეგ ქალი [illegible]. ცოლქმარს შვილი არ ჰყოლია. მე სწორედ მაშინ წელში ვიყავი გამართული, მგონი ყოველ დღეს მათი სახლისკენ ვიქნებოდი და მთელ დღეს ებთან ერთად ვატარებდი. ღობეზე ჩამოვსხდებოდით ხოლმე და მეზობლები იმის სანახავად მოდიოდნენ, როგორ ბედაურზე გაუცვლიათ ებს მავთულის გორგალი თუ მოხუც ენის დამჭყლეტი [illegible] და [illegible]. ებიც ყოველთვის [illegible] და მოუთხრობდა — ამდენი და ამდენი წლის ცხენია, ამდენი და ამდენი [illegible]: ცხენებისთვის [illegible], ოღონდ ისე ძალიან კი არა, როგორც მისის სნოუპსმა აიჩემა იმ დღეს, როცა ბისლი კემპისეული ცხენი მოიყვანეს და ბაკში შეაგდეს, ჩვენ თვითონ კი შინისკენ გავემართეთ და ებმა ფეხზე გაიხადა, რათა სადილამდე ცოტათი გაეგრილებინა, ხოლო მისის სნოუპსი კარიბჭეში ჩამდგარიყო და ტაფას ურტყამდა, ები კი ეუბნებოდა: „კარგი ახლა, ვინა, ხომ იცი, როგორ ვარ ცხენებისთვის გადარეული, სულ ტყუილად [illegible]. მაგას ის სჯობს, ღმერთს მადლი შესწირო, რომ მისი წყალობით მარტო ცხენებს [illegible]".

იმიტომ, რომ, კაცმა რომ თქვას, ებს არც ჰყოლია ცხენი და არც გარიგება გაუმართავს, არა, გარიგებით კი გაურიგდა და მერე როგორ გაურიგდა — სახნისი მისცა ბისლის ცხენში და კიდევ [illegible] ადამის ხნის უვარგისი სორგოს საწნეხელი, ისე რომ ამ ფასად მისის სნოუპსსაც კი არ უნდა [illegible] ისეთი საქონელი, რომელიც ბისლის ბაკიდან მათ სახლამდე თავის ფეხით მიჩანჩალებდა, ოღონდ, როგორც [illegible] მისის სნოუპსმა თვითონვე თქვა, ების გალუტა მაინც არავის შეეძლო, რადგან სულ იქით [illegible], თუნდაც ბებრუხ ჯაგლაგზე მოეხერხებინა გადაცვლა. ეს იმიტომ კი არა, რომ ებმა დროულად მოიფიქრა და [illegible] მიატოვა მინდორში გუთანი, რათა მისის სნოუპსს სახლიდან თვალი ვერ მოეკრა, სახნისი და სორგოს საწნეხელი კიდევ [illegible] გზას გაუყენა ფურგონით, რათა მის მეუღლეს [illegible] ყანაში [illegible]. ეტყობა, მისის სნოუპსმა უკვე იცოდა ის ამბავი, რაც ჩვენ არც დაგვესიზმრებოდა, — რომ ბისლისთან მოხვედრამდე იმ ცხენმა ჯერ სტემპერის კლანჭებში გაიარა, და ამ ცხენის ერთი [illegible] კმაროდა საიმისოდ, რომ ებსაც პეტ სტემპერისეული [illegible] შეჰყროდა. იქნებ მართლაც იყო მისის სნოუპსი, იქნებ ებს თავისთავი ჰოლენდის ფერმის ან მთელი მეოთხე უბნის პეტ სტემპერადაც კი მიაჩნდა, ოღონდ, რასაკვირველია, გულდაჯერებული კი იყო, რომ პეტ სტემპერი მის ღობეს არ მოადგებოდა და ამგვარი თავხედობისთვის პასუხს არ მოსთხოვდა. დარწმუნებული ვარ, მაშინ იმ თავის ვერანდაზე რომ იჯდა ფეხშიშველი, ხოლო სამზარეულოში ლორის ხორცი შიშხინებდა და ჩვენ ველოდით — როდის გვეძახიან სადილად, რომ ავდგეთ და ბაკის ღობეზე ჩამოვსხდეთ, რათა მერე ხალხი მოდიოდეს და უცქეროს, ამ გზობაზე რა ბედაური მოუყვანიათ ებ სნოუპსს, — დარწმუნებული ვარ, არამც თუ პეტ სტემპერზე [illegible] მაშინ ალებ-მიცემობის [illegible], თავად მოხუც ენსზე ნაკლები არ იყო არაფერით. დარწმუნებული ვარ, აქ რომ ვისხედით და, შეიძლება ითქვას, [illegible], ოღონდ ჩრდილოეთისკენ კი [illegible], მე რომ [illegible], ხოლო ის [illegible] ხელში იდგა [illegible] მისის სნოუპსი კი [illegible] თავისთვის ბუზღუნებდა: „[illegible] ბამბა და სიმინდი კიდევ ბაღჩაში ისე შეჭამა, შეშინია ყანაში სადილი წაუღო — გველმა არ მიკბინოს", — დარწმუნებული ვარ, ები [illegible] კუთხე თუ მოხუც ენსის მავთულის გორგალზე ან ერთ ტომარა [illegible] იმ თავის მერანს და ფიქრობდა — ღმერთმა ხომ იცის, ჩემი ცხენი კი არაა მარტო, უმშვენიერესია იმ ცხენთაგან, რომლებიც კი ხელში ჩამვარდნიან.

ეტყობა, ასე ეგონა განსვენებულს, თითქოს თავად მაღალ ღმერთს [illegible] მისის სნოუპსის სეპარატორისთვის გადანახული ფულით ცხენის ყიდვა. და პირდაპირ უნდა ითქვას, ებს რომ არჩევდა საამისოდ, [illegible] ისე სწორედ ისეთ კაცს [illegible], ვისიც [illegible] იყო ამ საქმის ღვთისად [illegible]. იმ დილით, სეპარატორის საყიდლად რომ მივდიოდით, ებს არც უფიქრია ბისლისეული ცხენის შებმა, რადგან იცოდა, ის ცხენი ჯეფერსონამდე ვერ [illegible] და [illegible] ერთი ამდენს ერთი დღეში [illegible] გზის [illegible]. ვერ გაიგებდა. ებს უნდოდა მოხუც ენსთან გადასვლა და ჯორის თხოვნა, რათა სახრიმე(?) ფურგონი ორი ცხენით შეებათ, ოღონდ ეს ცხენი [illegible], ჯერ ერთი, ერთ კვირაში დაბრუნება გვიწევდა და [illegible] — ჩვენი ცხენი [illegible] და [illegible], ვიდრე მოხუცმა ენსმა მთელი სიმართლე [illegible] უთხრა. [illegible] — ჩვენი ცხენი სულ [illegible] რომ მოხუცმა ენსმა [illegible] ებმა სული შემოეკრა, რაც მთელი სიმძიმე ჯორის დაფშვა. ებმა შილტა ჯორი გამოიყვანა, რათა საკუთარის გვერდით შეება ფურგონში. ასეც იზამდა, მისის სნოუპსს რომ არ ატრენუბოდა. მაგრამ მისის სნოუპსი სულ იმის ქირქილში იყო, ეს რა გაახურებათ ჩვენმა ქმარმა, ეს რა საზიზღარი იმოუნა, [illegible] დამაშვრებიყოთ; ქალაქამდე რომ ჩააღწევინა როგორმე ამ ჯაგლაგს, იქნება ფასიანი თვალის პატრონისთვის შეეკეთებინა, აბრის მაგივრობას გააწევინებდნენ, ჰიმკართან დააყენებდნენ. ისე რომ, შეიძლება ითქვას, მისის სნოუპსმა თვითონვე აგება ები და ბისლისეული ცხენის ქალაქს წაყვანა აფიქრებინა. ხოდა, ჩემო ბატონო, მეორე იმათიან იმ დილას და ჯორთან ერთად ბისლისეული ცხენიც შევაბით ოთხთვალაში. მანამდე კიდევ ორ-სამ დღეს საჭმელი მივუმატეთ, ლამის ძალისძალად გატენილით პირში, სიმგზავროდ [illegible]. ასე რომ შესახედად [illegible] მეტი სამ [illegible] შეიქნა, ვიდრე პირველი მოყვანისას იყო. თუმცა მტკრის არც ებმა დაუკლიებია თვალი. ებმა დაასკვნა — ჯორის ბრალია ეს ამბავი; ცალ-ცალკე მართლა ვერ გამოიყურებოდნენ ორივენი, მაგრამ არც ერთი ოთხფეხი არავის გვერდით იმ ცხენის ამოცნობა არაფრის დიდებით არ შეიძლებოდა, ეს აფუჭებდა მთელ საქმეს. „კარგი იქნებოდა, ოთხთვალის ქვეშ რომ მოეკეცებინა ჯორის შებმა, ისე რომ გაწევით ჯორის გაქცა, ოღონდ გვერდით არ გამოიჩენა თავი და შესახედად მარტო ცხენი დარჩენილიყო", — მითხრა ებმა. ერთი სიტყვით, რაც გავაწყობდით, ვერაფერი გავაკეთეთ. ების ისიც უნდოდა, სავსებით მარილი გაერია ბლომად, რათა მერე რაც შეიძლება მეტი წყალი ეჭამია ჩვენს ჯაგლაგს, ნეკნები მაინც აღარ გამოეჩინა ისე ძალიან. მაგრამ მაშინ ჯეფერსონამდისაც ვერსად ჩავიყვანდით, უკან დაბრუნებაზე რომ აღარაფერი ვთქვა. თანაც მაშინ ყოველ წყაროსთან და ჭასთან ფეხს მიაბჯენდა და ისევ წყლის სმას მოჰყვებოდა. მოკლედ, ყოველივე ისე მოვაწყვეთ, უკეთეს ვერც ვინატრებდით, უფრო სწორად, ვიდრე მოიხდებოდით — ნამდვილად ასე ამბობდა. ები შინ შევიდა და, რომ გამობრუნდა, უკვე სერთუკი ეცვა (სწორედ ის სერთუკი, ებმაც რომ ატარებს. იგივეც ის სერთუკი პოლკოვნიკ სარტორისისაა იყო, მისის როზა მილარდმა უჩუქნა ებს ამ ოცდაათი წლის წინათ), მისის სნოუპსის მიერ რომ წელიწადს ნაგროვები ის ოცდაოთხი დოლარი და სამოცდაორი ცენტი ჩვარში გამოეკრა და დაუბარებით.

ალებ-მიცემობის არაფერი გვეფიქრია, ოღონდ ცხენის ამბავი, რასაკვირველია, გვაფიქრებდა, რადგან ვმიმხობდით — ბისლისეული ბედაური ოთხთვალაზე დაბადებში არ შეეგუებოდა, ჯორის გვერდით ებს არ დასჭირდება შებმა და საღამოს აბნაირად შინ დაბრუნება არ მოგვეწყობოდა. ერთი სიტყვით, ებმა ოთხთვალა ჭიშკარს გამოაყენა და ფრთხილად მოუშვა ცხენი და ჯორი გზაზე, ყოველ ბორცვს, ყოველ ბექობს ჩამოვხტებოდით და ქვეითად მივყვებოდით, ჯეფერსონამდე ასე უკანაკვალად ჩავსულით. კარგი დარი იდგა, ცხელოდა. შუა ივლისი იყო. [illegible] დუქნამდე ერთი მილი იქნებოდა დარჩენილი, და ამასობაში ჩვენმა ცხენმა ბილიკზე ჩამოკიდებული უფრო [illegible], ვიდრე მოისაკვლე. მის ყოველ წარბანძეულებზე ების ხმა უფრო და უფრო [illegible]. უკან დაბრუნებისას — ჩვენი ცხენი სხლეტინიანად [illegible]. თავი უკან გადაგდებული და საყისრულის [illegible]. პირველად ებმაც საყისრულის მას შეხედა, რაც მთელი სიმძიმე ჯორის დაფშვა. ებმა შილტა [illegible] მოუქნია, ბორცვიდან ჩაგვეყრიალდით და უკიდეგანო დუქანს მივადექით. იმ ჩვენს ცხენს თვალები [illegible], სამტროდ ძელის სიტყვითით გადმოთეთრებოდა, ფერფლი და [illegible] ჰქონდებოდა. მიწა გამისკდა, თუ მთლად გაქცეული არ ყოფილიყოს, კარგად ნაჭრები ჯიშიანი ცხენივით, თითქოს ნეკნებიც აღარ ჰქონდა იმ ზომაზე გამოჩრილი. და მაშინ ებმა, რომელსაც თავდაპირველად შემოსავლული გზით უნდოდა წასვლა, რათა დუქნის გვერდით არ ჩაგვევლო, ოთხთვალა შეაჩერა და კოფოზე ისე მოკალათებულმა, თითქოს თავის ღობეზე ყოფილიყოს ჩამომჯდარი, სადაც ვერც ერთი პეტ სტემპერი ვერაფერს დააკლებდა, ჰაუ მიტჩელსა და გალერეაში თავშეყრილ სხვა ბიჭებს მოუთხრო — კენტუკიდან ჩამოვყვანილი ჩემი ცხენი. ჰაუ მიტჩელს არც გაუღიმია. რაღა თქმა უნდა, გვითხრა. მეც ვუყურებდი, და ვეცნობოდი [illegible] — ეს რა მოხელია-მეთქი, [illegible]. კენტუკიდან აქამდე ჩამოსვლა გზა კი არაა. ხუთი წელი იქნება, რაც გერმან შორტმა ჯორის [illegible] ერთი ცხენი პეტ სტემპერს, მაშინ [illegible] კიდევ ბისლი კემპმა რვა დოლარი მისცა ვერმანს. შენ რაღა მიეცი ბისლის, ორმოცდაათი ცენტი?..

აღარ მახსოვს, სად შევეჩეხეთ და როდის შევეჩეხეთ — პეტი ჯეფერსონშიაო: შესაძლოა უაიტლოქის დუქანში გვეთხრა ეს ამბავი. მაგრამ შესაძლოა ამგვარ ვითარებაში მხოლოდ ბუნებრივი და სამართლიანი კი არ იყო, რომ ები სტემპერს გადაჰყროდა ჯეფერსონისკენ მიმავალ გზაზე — იქნება ნამდვილი ბედისწერაც იყო. მოკლედ, მაგრობინებდით მე და ები, ბისლი კემპის იმ რვა დოლარის აღმართში შევუძღვებოდით ხოლმე და ჩვენ თვითონ ქვეითად მივყვებოდით. ბისლისეული ცხენი რაც ძალა და ღონე ჰქონდა, საყისრულის ამწევბოდა, თუმცა თითქმის მთელ სიმძიმეს ჯორი ეზიდებოდა, ები კი ჩემს გვერდით მოდიოდა და პეტ სტემპერსაც უცქეროდა, გერმან შორტსაც, ბისლი კემპსაც, და ჰაუ მიტჩელსაც არ ძალებდა ხელს. მერე დაღმართზე ვეშვებით მთიდან და ებმა ოთხთვალის დამუხრუჭება დაიწყო, რათა ბისლისეული ცხენი საყისრულში არ გაეჭრინა და უკანა არ გადაებრუნებინა წინდახედულად. ასე გრძელდებოდა, ვიდრე მესამე მილზე მდებარე ხიდს მივადექით, აქ კი ებმა გზიდან გადაუხვია. ოთხთვალა ბუჩქებში შეაყენა, ჯორი გამოხსნა, ზედ შეჯდა, სადაც ისე ამიყარა, რომ წაყვანა შემძლებოდა, ხუთშაურიანი მომცა და მიბრძანა ქალაქში ჩავსულიყავი, ათი ცენტის გვარჯილა მეყიდა, ხუთის კვერი და ათი ნომერი ანკესი, და მალე დავბრუნებულიყავი.

ნასადილევს მივატანეთ ქალაქს, სწორედ იქით გავემართეთ, სადაც პეტი იყო დაბანაკებული და მის სადგომში შევყრილიყავით. ბისლისეული ცხენი ქანცგაწყვეტილად ამწევბოდა საყისრულს. თვალებიც თავად ებსავით ვეღარ ცეცხლით უკიდოდა, პირზე ქაფი მოსდიოდა, რადგან ებმა გვარჯილა შეუზილა ღრძილებში, საყისრულს ქვეშ კი ვერცხლისფერი ნაცარი მიაყარა მავთულის ორი ნაგლეჯი, ერთი კიდევ ცხვირთან მიაწება ამ ღვ[illegible]

(დასასრული მე-4 გვ.)

* გამომცემლობა „ლიტერატურა და ხელოვნება" 1966-67 წლებში გამოსცემს ცნობილი ამერიკელი მწერლის უილიამ ფოლკნერის ტრილოგიას — „სოფელი", „ქალაქი", „სახლი", რომელსაც თარგმნის რევაზ თვარაძე. ვბეჭდავთ პირველი წიგნის ნაწყვეტს. უ. ფოლკნერის ნაწარმოები პირველად იბეჭდება ქართულ ენაზე.

ოთარ კუპრავა

ლეგენდის დაბადება

კომბორის მთიდან ნელა დავეშვით,
გავლევთ ბილიკი მთებზე გასკვნილი
და განთიადმა მოგვაროვა პეშვით
ძვალლაური, მზე და ასკილი.

რად დაგიკაწრა ასკილმა ხელი?
რად აგატირა მზე მკერდფიქალი?..
ზღვისკენ წაიღო იორმა ცრემლი
და მომეჩვენა ზღვაზე გრიგალი.

ისრით დაკოდილ ჯეირანს ჰგავდი,
სიმკვირცხლეს მაინც არ დაიშალე.
მაღლით გვიხმობდა გორგასლის ლანდი,
უკარმის ლოდთა ჩუმი სიშავე;

წინ მიგვიძღოდა გმირთა აჩრდილი,
[illegible] ცისებ უმერად. სწრაფად
შენ — ამირძალი, მკლავში დაჭრილი,
მე — ამირანი, დევების ზაფრა.

და ახლა, როცა თბილისის ზღვასთან
ვდგავართ მოწმენი ფოთოლთა ცვენის,
მე მაგონდება ცისეზე ასვლა,
იორის გულში ჩაღვრილი ცრემლი.

დაიწრდები ზღვას და მოვკლავ წყურვილს,
წუთებს ვეძებდე, ფიქრების აშლილს:
ზღვა თუ ზღვა არის, ეს მტკნარი წყალი,
ალბათ ოდესმე გახდება მლაშე.

და მაშინ, მაშინ, კარგო, ეგება
ხალხში შეითხზას შენზე ლეგენდა.

ნახონ შორეულ თვალთა სისველე,
ფრთები შეასხან ამბავს გვიანდელს
და მიაწერონ შენეულ ცრემლებს
ზღვის სიმლაშე და ზღვის სიდიადე!..

ახლა ზღვასთანაც [illegible] დადგა
და არ გვეხმობს კომბორის მთები,
ახლა მოსავლის ნათელი [illegible]
და მოგონების ბურუსში ვთხებით.

წინაპრის ხმა ბეთლემის ნანგრევებთან

ვახუშტის თქმით [illegible], ბეთლემის ქვაბებში ინახებოდა „წიგნნი მრავალნი".

მე დავეკარგე თოვლიან ღამით
და იქნებ კიდეც დიდხანს ითოვს.
მე დავეკარგე ქარიან ღამით,
უნდა მეძებო და შენ მიპოვო.

შენ, ვინც სიმღერას შეიგრძნობ ხვალ-ზეგ,
არ დაგჭირდება სულის მებარგა,
უნდა შეეხო წარსულის ხავსებს
და გაცოცხლდეს შენი [illegible].

მე წინ მესვენა ღამე უკუნი,
როგორც ცხედარი, მამის, მშობლის,
მე წინ მესვენა სხვა საუკუნე —
ნგრევის, ჭირების, ქარიშხლების.

ცხრაჯერ მომკლეს და ცხრაჯერვე აღვსდექ,
ამოვანგრიე საფლავი ცხრაჯერ,
გადარჩენილი სიცოცხლეც ნაღდი
სამუდამოდ [illegible] ვხარჯე.

გამოვიარე ცეცხლი და დღეები
და ფოლადივით ცეცხლში გავძელი,
მაინც მომტკუნა [illegible] ბედმა
და ახლა მე ვარ მოსაძებნი.

ამ მიწის იქით ვერსად დამეძებ,
ამ მიწის იქით ვერსად მიპოვი,
აქ ნათობს ჩემი სულის [illegible]
და ჩაყრილი კლდეში სტრიქონი...

კინო

„რაც გინახავს, ვეღარ ნახავ“

ფილმი „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ“ კინოსტუდია „ქართული ფილმის“ უკანასკნელ კინოსურათებს შორის ერთ-ერთი თვალსაჩინო ნაწარმოებია. ა. ცაგარლის პიესა „რაც გინახავს, ვეღარ ნახავში“, რომელმაც აღაფრთოვანა დიდი ილია, გიორგი წერეთელი, აისახა ჩვენი ხალხის გასული საუკუნის მწარე ცხოვრების ერთი პატარა, მაგრამ დიდად მნიშვნელოვანი, იმ დროისათვის ფრიად დამახასიათებელი ეპიზოდი. სცენარის ავტორებს ნ. წულეისკირისა და შ. ქიაურელისაგან პიესის ეკრანიზაცია, დიდ კინოდრამატურგიულ ოსტატობასაც მოითხოვდა. სიამოვნებით უნდა აღინიშნოს, რომ ფილმის ავტორებმა მათ წინაშე დასმული ამოცანა ძირითადად კარგად და სწორად გადაჭრეს. ღრმად და საფუძვლიანად არის გაგებული ლიტერატურული პირველწყაროს იდეური მიზანდასახულობა — იბრძოლოს ადამიანის უფლებებისათვის, მისი ქალური ღირსებებისათვის, განსაკუთრებით ყოველგვარი ძალმომრეობისა და უსამართლობის წინააღმდეგ, განამტკიცოს დიდი მეგობრობისა და უშურველი სიყვარულის ნათელი გრძნობები.

ცაგარლისეული ნაწარმოების ეს მებრძოლი ბუნება კიდევ უფრო ამაღლებულია მის ახალ ფორმაში — კინოსცენარში, რაც თავის მხრივ განაპირობებს ფილმის მებრძოლ ხასიათს და მას თანამედროვეობის შესატყვის ჟღერადობას ანიჭებს.

სცენარი ივსება მთელი რიგი ახალი დრამატურგიული სიტუაციებით, სიუჟეტური სვლებით, ახლებურად გააზრებული სახეებით, რაც პიესაში არ არის, ან ზოგადად არის მინიშნებული. კლასიკური ლიტერატურისადმი ასეთი დამოკიდებულება ახალი არ არის, საბჭოთა კინომ და, კერძოდ, ქართულმა საბჭოთა კინემატოგრაფიამ იცის ამის შესანიშნავი მაგალითები („ელისო“, „დარიკო“, „დაკარგული სამოთხე“, „მაგდანას ლურჯა“ და სხვ.). მისასალმებელია, რომ ავტორები განაგრძობენ ამ მხატვრულ ტრადიციას. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია ტასიას და გიგიას ურთიერთობის ხაზი, რაც ახალგაზრდული, გულწრფელი, უშრეტი სიყვარულის ნაზ სიმღერად არის ფილმში გაპოეტურებული. აქვე უნდა აღინიშნოს ლაზარეს, მარიამის, მელანოს და სხვათა სახეები. ისინი თხზულებაში სულ სხვა სახით არიან წარმოდგენილნი, სცენარში კი ახალი თვისებებით შევსებულნი.

ჩვენი აზრით, ინტერპრეტაციის მხრივ საყურადღებოა ბორისის სახე, რომელიც პიესის მიხედვით ბერის, თავად დავით ჯამბაკურიანის მეჯინიბის, ზაქარიას ნაცვლად შემოვიდა ფილმში. მნიშვნელობა არა აქვს იმას, ზაქარია იქნებოდა თავადისა თუ მეჯინიბე, მაგრამ, როგორც იმ ბნელი საუკუნის პროგრესული ადამიანის სახე, იგი მაინც უცვლელად უნდა დარჩენილიყო. ა. ცაგარელი ტყუილად არ მოსავდა თავის გმირს მოწინავე ადამიანის თვისებებით. ზაქარია იმ ადამიანთა წარმომადგენელია, რომლებმაც იმთავითვე იგრძნეს ფეოდალური წყობილების უპერსპექტივობა, ახალი საზოგადოებრივი ფორმაციების ისტორიული აუცილებლობა. მისი დატოვება საჭირო იყო. თავადის სახლში ძალზე ბევრია მისი წრის გასაკიცხავად შექმნილი გროტესკული ნიშნები, ბორისი კი ზედმეტი მარილია გემრიელი შეჭამანდისა.

ძირითადად მაინც სრულყოფილება ხედნარმა საბჭოთა კინემატოგრაფიის უხუცეს ოსტატს მიხეილ ჭიაურელს საშუალება მისცა კვლავ ჩვეული ენერგიითა და შემოქმედებითი გატაცებით ემუშავნა ახალ ფილმზე, რომლის შექმნაც მის შემოქმედებით ბიოგრაფიაში შემთხვევითი არ არის.

უცქერ სურათს და გრძნობ ძველ ოსტატს, გამოცდილ ხელოვანს, რომელიც სიყვარულით, ფაქიზი გრძნობითა და სითბოთი აცოცხლებს მის მიერ წლების მანძილზე გულის სიღრმეში ნატარებ ამბავს, ამბის მონაწილე ადამიანთა სახეებს, გრძნობ შემოქმედს, რომელსაც ძირფესვიანად იცის ის ცხოვრება, რომელზეც ქმნის თავის ფილმს.

დილაა. დილმელი გლეხები თბილისისკენ, ბაზრობაზე მიიჩქარიან. გადავხედოთ ამ სახეებს, აგერ, ხანდაზმული გლეხი ლაზარე, ილიაში ჯოხდაყრდნობილი, წვერით მოსილი, გლეხური ნაბიჯებით, რომ მიიჩქარის და გვერდით, ცუნცულით მიჰყავს ჯორიანი ამოღებულ შვილიშვილს, ტასიას ხასიათის ტაძრის ზარის გულზე მიუთითებს. ორიოდე ცხვარი, ქათმები, რამდენიმე ქილა მაწონი და რაღაც სხვა, საბედისწეროდ სახლიდან წამოღებული ხანჯალი ქალაქში მოაქვთ გასასყიდად. სულ ეს არის მათი სიმდიდრე, მაგრამ მაინც მიდიან, მოიმედონი. წინ ჩვენი დედაქალაქი თბილისი ჩანს და როგორ არ ამღერდებიან?

— აი გამოჩნდა ჩვენი თბილისი. ვენაცვალე შენს მადლსა, მტერმა ბევრჯერ გადაწვა, გააპარტახა, მაგრამ ჩვენს ქვეყანას მაინც უდღეგრძელა დედაქალაქი, — თავისთვის დუდღუნებს გლეხი ლაზარე. ვაგლა შორიდან შეჰხარის თბილისს.

ჩვენს წინ ძველი თბილისია, მისი თვალწარმტაცი, თავისებური კოლორიტი, აზიატური ბაზარი, მაცნეს ძახილი, ხალხმრავლობა გადაცარიელდა. აქვეა ყარაჩოხელების ქეიფი, მეზურნის ოსტატური კვრა, პირველი სიყვარულის ხანმოკლე და მასთან დაკავშირებული სცენები, სოფლის გლეხობა, ქორწილი და სხვ.

განსაკუთრებულ აღტაცებას იწვევს ტასიას და გიგიას სიყვარულთან დაკავშირებული სცენები, ხოლო ტასიას და გიგიას საყდართან შეხვედრის ეპიზოდი ბუნებრივობით, გულწრფელობით, აზრითა და მხატვრულობით, ერთ-ერთი საუკეთესოა იმ ეპიზოდებს შორის, რომლებიც ამ უკანასკნელი წლების ქართულ ფილმებში გვინახავს.

ღრმად გააზრებულია და მხატვრულად სრულყოფილი სოფლის ეპიზოდები, ტასიას დაბრუნება თბილისიდან, მისი ცეკვა და სოფლელების მხიარულება, მოურავის შემოჭრა ტასიას წასაყვანად, ყარაჩოხელთა მოსვლა საქორწილოდ, ყარაჩოხელებისა და თავადების ჩხუბი და სხვა. აქ ყოველ სცენაში ნათლად ჩანს ხომალდების დიდი გრძნობა, გემოვნების სინატიფე, მისეული ქიაურელისეული ხელწერა.

ვერ დავეთანხმებით დამდგმელს, თავადების სასახლის ცხოვრების ზოგიერთი ეპიზოდის მხატვრულ გააზრებაში. მაგალითად, გროტესკული ფორმა, რომელსაც რეჟისორი ძირითადად, ფეოდალური რეჟიმისა და მისი უკანასკნელი წარმომადგენლობის გასაკიცხად იყენებს, ფორმა, რომელიც დიდი იდეური მიზანდასახულობისა იყო ქიაურელის ადრინდელ სურათებში („ხაბარდა“, „უკანასკნელი მასკარადი“), ამ ფილმში ძველებური ძალით არ ჟღერს. დამბალი მოპირის, რიცეულების, ტასიას და სახლების გაუწყვეტელი ჩვენება არღვევს ნაწარმოების საერთო სტილს. სწორად არ მიგვაჩნია ფილმში ბორისის სახის არსებობაც. იგი ახალ ფერებს არ მატებს ისედაც კარგად დახატულ თავად-აზნაურთა წრეს. გადაჭარბებით გროტესკულია ივერიელი კონტაია, სასახლეში ჩატარებული ზოგიერთი სცენა თეატრალურად არის გადაწყვეტილი.

ეს ნაკლოვანებები სრულებითაც ვერ ჩრდილავს ფილმის იდეურ-მხატვრულ ღირსებებს. როგორც თავშივე აღვნიშნეთ, იგი უდავოდ სასიხარულო მოვლენაა ქართული კინემატოგრაფიის დღევანდელ ეტაპზე. ამას მეტყველებს ის წარმატება, რომელიც ფილმს წილად ხვდა.

ამ წარმატების მიზეზი, გარდა აღნიშნულისა, მსახიობების, ოპერატორის, კომპოზიტორის, მხატვრებისა და კომბინირებულ გადაღებათა ოსტატების, შემოქმედებითი შრომაა.

პირველ რიგში მაინც უნდა აღინიშნოს ახალგაზრდა მსახიობების სოფიკო ჭიაურელისა და გიორგი შენგელაიას უაღრესად თბილი, გულის სიღრმეში ჩამწვდომი, მომხიბვლელი თამაში. მსახიობები ღრმად გრძნობენ სახეს, რომელიც მათთვის მხოლოდ გადმოცემით ან წიგნით არის ცნობილი, მინავარი ინტუიცია და მდიდარი შემოქმედებითი ფანტაზია მათ საშუალებას აძლევს ჩვენს თანამედროვე მაყურებელს მთელი სისავსით წარმოუდგინონ წარსული საუკუნის სოფლელი გოგო და ქალაქელი ყარაჩოხელი ბიჭის ეშხით აღსავსე, რეალისტური ფერებით დახატული, მიმზიდველი სახეები.

სახის პორტრეტულ მსგავსებასთან ერთად მინავანი ხაზიანელი ტემპერამენტი, სახის გაგების უდიდესი ოსტატობა სსრ კავშირის სახალხო არტისტს აკაკი ხორავას საშუალებას აძლევს შექმნას ყარაჩოხელი გლეხის ფიზიკურად ძლიერი, პოეტური გაწყობილების, მეგობრისათვის თავდადებული, პატიოსნებით აღსავსე ხელოსნის მეტად თბილი, რომანტიკული სახე. ჩვენს სასცენო ხელოვნებას გიქოს ნაკვალი შესრულებული ახსოვს. აკაკი ხორავა პირველია მათ შორის, რომელმაც ქართული დრამატურგიის ამ კლასიკური ტიპის განსხვავებული ფერადი სახე წარმოადგინა. ეს სახე ამდიდრებს მსახიობის შემოქმედებით ბიოგრაფიას, ზრდის ქართულ ფილმებში ჩვენი კინომსახიობების მიერ შექმნილ დაუვიწყარ სახეთა გალერეას.

დიდი ჰუმორი, სიცოცხლე და სიხალისე შეაქვს ფილმში სსრ კავშირის სახალხო არტისტის, ვასო გოძიაშვილის შესანიშნავსა და მიმზიდველ თამაშს. იგი „უბეა“ ავტორის როლს განასახიერებს. მისი აბეტა სახეა ყარაჩოხელისა, რომელმაც წუთისოფლის მძიმე გზა განვლო, ამქრისთავობას მიაღწია, ცხოვრებისაგან ისწავლა ცბიერება, ენამახვილობა, დიდკაცებთან ლაქუცის მოდგმის წესი, მაგრამ გულით მაინც პატიოსან და ალალ-მართალ ხელოსნად დარჩა. მეტად რთულია ეს ხასიათი, მაგრამ ვასო გოძიაშვილმა იგი სრულიად გასაგები, ნათელი ფერებით დაგვიხატა. მსახიობი განსაკუთრებით ძლიერია ფილმის კულმინაციურ ეპიზოდებსა და სასახლეში, დიდი ქალბატონის სარეცელთან თავზარის სცენის დროს.

რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი გამბან ნინუა თავად დავითის სახეს როლის სწორი გაგებითა და სრულიად ჩამოყალიბებული აქტიორული ოსტატობით განასახიერებს. გადაგვარების გზაზე დამდგარი, გალოთებული, მუნდირიან ტიკინად ქცეული, უპრინციპო და უპერსპექტივო ადამიანი — ასეთია სახე, რომელსაც სრული დამაჯერებლობით ხატავს მსახიობი. ილიონი, მსახიობს, სალაპარაკო ენისა და ინტონაციაში ერთ დაუფასებლობით. იგი [illegible] შექმნის ფილმში.

[illegible] ბის მეორე დიდი როლია სიმაღლეზე აჰყავს.

უბრალოებით, გლეხური ბუნების თბილი და უშუალო გადმოცემით გვხიბლავენ რესპუბლიკის სახალხო არტისტები: ცეცე აბაშიძე, მერი დავითაშვილი და აკაკი კვანტალიანი. მოსაწონი და ქების ღირსნი არიან დამსახურებული მსახიობები სერგო მარტინსონი და ფარამან სოლომონაშვილი, რომლებიც სრულიად გადაგვარებული თავადის მოურავისა და ბატონის ხიზან-მოძმისა, ლაქუცა მოურავის ეპიზოდურ როლებს ასრულებენ.

დიდად მარჯვედ ამ ახალ ფილმში კვლავ გვიჩვენა ხატიური ოსტატობა. ფილმის გამოსახულებითი მხარე ორგანული ნაწილია მთლიანი შემოქმედებითი კომპოზიციისა, რომლებმაც ფილმის მხატვრული სრულყოფა განაპირობა. განსაკუთრებით კარგია სოფლად ღამის სცენები, ლხინი და სილუეტებით აღმართულ მთების ფონზე ცეკვა. გლეხისასთან ყოფნის ეპიზოდი და სხვა, რომლებიც ზუსტად ჩამოქნილი კომპოზიციის ფერით, საერთო გამით და გადასაღებ ობიექტის საერთო ჰარმონიულობით, ყალბით ნახატ ტილოებს გვაგონებს. რევაზ ლაღიძის მუსიკა მჭიდროდ ჩაქსოვილი ფილმის დრამატურგიულ ქსოვილში. როგორც ორიგინალური, ისე ხალხურ-ფოლკლორული მუსიკა თავისი შინაარსით და მელოდიურობით ზრდის ფილმის ზემოქმედებით თვისებებს, მის იდეურ-მხატვრულ აღქმის ძალას.

ფილმის მთავარმა მხატვარმა სერაფიონ ვაწაძემ და კოსტიუმების მხატვრებმა ე. ლალიაშვილმა და კოტე კვალიაშვილმა კარგად გადაჭრეს მათ წინაშე დასმული ამოცანა. ძველი თბილისისა და სოფლის არქიტექტურული მხარე, ტანსაცმელი, კოსტიუმები და სხვ., მთელი მათი დამახასიათებელი თვისებებით, კოლორიტითა და თავისებურებით, შესრულებულია ეპოქის ღრმა ცოდნითა და შესანიშნავი ხელოვნებით.

ფილმის მთავარ გმირებს, საქმით პატარა, მაგრამ დიდი ბუნების ადამიანებს, თბილისელ ყარაჩოხელებს, რომელთა მსგავსნი, როგორც ამბობენ, არსად არც ერთ სხვა ქალაქში არ შობილან, მუდამ „ნამუსის ქუდი“ ეხურათ. ფილმი, რომელიც მათ ალალ შრომასა და ლამაზ ცხოვრებას ქართველმა კინომუშაკებმა მიუძღვნეს, ასეთივე „ნამუსის ქუდით“ არის დამშვენებული, სიმართლითა და გულწრფელობით არის შექმნილი.

კარლო გოგოძე

* * *

სურათზე: კადრი ფილმიდან — „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ!“.

მცირე შენიშვნა

ჩვენი დედაქალაქის 1500 წლის იუბილესთან დაკავშირებით აკად. ა. შანიძემ თბილისის სახელწოდების საკითხით დასაბუთებული და სწორი ეტიმოლოგია წარმოგვიდგინა. ჩვენ ქალაქს, მკვლევარის სიტყვით, თავის სახელწოდება მიუღია იმ თბილ წყაროთაგან, რომელთა სიმრავლე საერთოდ არის დამახასიათებელი თბილისში. სწორედ ამ თბილმა წყაროებმა მისცა საფუძველი ჩვენი დედაქალაქის სახელწოდების გაჩენას.

მაგრამ, როგორც სამართლიანად აღნიშნავს აკად. ა. შანიძე, დიდი ხნის გარკვეულ პერიოდში თბილისის სახელის გაჩენას სხვა, მეტად ხელოვნური გზებით ხსნიდნენ. კერძოდ, აკად. ა. შანიძე საყვედურს გამოთქვამს იმ მეცნიერთა მიმართ, რომლებიც თბილისის სახელწოდების გაჩენას ქართველთა ერთ-ერთი უძველესი ტომის თაბალის (იგივე დაბადების თუბალის) სახელს უკავშირებდნენ.

სათანადო სამეცნიერო ლიტერატურაში თბილისის ეტიმოლოგიის ამგვარი ახსნა საკმაოდ ძველია და იგი პოლონელი მეცნიერის ჟან პოტოცკის (1761-1815) სახელს უკავშირდება, რომელმაც პირველმა აღნიშნა, თბილისი თუბალიდან მომდინარეობსო. თავის დროზე ჟ. პოტოცკის აღნიშნული მოსაზრება გამოიყენა ცნობილმა ენათმეცნიერმა და ისტორიკოსმა პ. უსლარმა (ეთნოგრაფიული თქმულებები კავკასიის შესახებ. თბილისი, 1881, რუს. ენაზე), თუმცა მან საკმაოდ სამართლიანად უარყო პოლონელი მეცნიერის ეს ვარაუდი (გვ. 302). მაგრამ, სამწუხაროდ, პ. უსლარს დაშვებული აქვს ერთი არსებითი უზუსტობა, რომელიც შემდგომ შეცდომათა წყაროდ იქცა. საქმე ისაა, პ. უსლარს სწორად არა აქვს მითითებული ჟ. პოტოცკის ნაშრომი: იმის მაგივრად, რომ მას მიეთითებინა პოლონელი მეცნიერის ნაშრომი: „რუსეთის მოსახლეობის უძველესი ისტორია“ (სპბ. 1802, გვ. 188-189, 210-211. ფრ. ენაზე), რომელშიც ნამდვილად არის საუბარი ამ საკითხზე, პ. უსლარმა ჟ. პოტოცკის სხვა ნარკვევი დაასახელა (მოგზაურობა ასტრახანის სტეპებსა და კავკასიაში, პარიზი, 1829. ტ. II, გვ. 251) და ამით საფუძველი ჩაუყარა იმ გაუგებრობას, რომელზეც გულისწყრომით მიუთითებს აკად. ა. შანიძე, იგი აღნიშნავს, ჟ. პოტოცკის „მოგზაურობაში“ მსგავსი აზრი მე ვერ ამოვიკითხეო (ა. შანიძე. საქართველოს დედაქალაქის სახელწოდებისათვის. საიუბილეო კრებული, თბილისი, 1958, გვ. 20).

მიმდინარე საუკუნის 20-იანი წლების ქართულ ისტორიოგრაფიაში ხელახლა დაისვა თუბალისა და თბილისის იდენტურობის საკითხი. კერძოდ, იგი ლიტერატურაზე მიუთითებლად განიხილა პროფ. ლ. მელიქსეთ-ბეგმა (თბილისი, მისი დაარსება და მოკლე ისტორიული ნარკვევი, კრებული თბილისი-გზამკვლევი, 1925, გვ. 6-7 რუს. ენაზე). ამ საკითხს შეეხო პროფ. ს. კაკაბაძეც (ქ. თბილისის სახელწოდების ისტორიისათვის. საისტორიო კრებული, წ. II, თბილისი, 1928, გვ. 60, შენ. 1), თუმცა, როგორც მისი მსჯელობიდან ჩანს, იგი არ იზიარებს ჟ. პოტოცკის მოსაზრებას. მაგრამ საკითხის ისტორიისათვის საგულისხმო ის არის, რომ პროფ. ს. კაკაბაძე ჟ. პოტოცკის ცნობას კი არ დაეყრდნო, არამედ პ. უსლარის უნებლიე შეცდომას და ამიტომ მასაც ის შეცდომა მოსვლია, როგორიც თავის დროზე ცნობილ ენათმეცნიერს.

მაშასადამე, თბილისის სახელის თუბალური წარმოშობის თეორია მართლაც ჟ. პოტოცკიმ წამოაყენა, მაგრამ ეს აზრი მას იმ ნაშრომში კი არა აქვს გამოთქმული, რომელსაც აქამდე შეცდომით უთითებდნენ, არამედ სხვაგან, კერძოდ, რუსეთის მოსახლეობის უძველეს ისტორიაში.

კიდევ ერთი გაუგებრობის თავიდან აცილების მიზნით, მინდა შევნიშნო, რომ ჟ. პოტოცკის ნაშრომზე მიუთითებლად ფრანგი განმანათლებელი ჟ. ვოლნეი (1757-1820) ავითარებს თუბალ-თბილისის იდენტურობის აზრს. მისი ეს ცნობა გამოყენებული აქვს ფრანგ მოგზაურს ფრედერიკ დიუბუა დე მონპერეს, მაგრამ იგი შეცდომით უთითებს ჟ. ვოლნეის მოგზაურობის მეორე ტომის 205 გვერდს; ნამდვილად კი მას უნდა აღენიშნა მეორე ტომის 104 გვერდის მეორე შენიშვნა.

არჩილ ბარამიძე

(დასასრული)

გილას, სადაც ცხენი კანჭებში ნემსავით შეუცვდა და სადაც მერე სადავეს უტყლაშუნებდა, ისე რომ პეტის ზანგი რომ არ გამოვარდნილიყო და ალურში არ სწვდომოდა, ჩვენი ბეჭდური პირდაპირ იმ კარავში შეჯლიგინდებოდა, სადაც პეტს ეძინა. მერე თავად პეტი გამოვიდა ცალ თვალზე იმ თავის დიდი ფერის ქუდჩამოფხატული, ახალგამოპარსული, საწმისის ფერი თვალები ჰქონდა, გამყინვული თვალები, როცა ხელის ცერი თითები ქამარში გაერჭო. უცერ, რა გიჟი ცხენი მოუყვანიათო, თქვა.

რაც მართალია, მართალია, უთხრა ებმა, მეც სწორედ მაგიტომ მინდა თავიდან მოვიცილო. თქვენ რომ შემეშველებოდით და სხვა რომელიმეზე გამიცვლიდეთ, სასიამოვნოდ მივიღებდი, არც ჩემთვის მოვატყუებინებდი კიცხს და არც ამ პატარა ბიჭისთვის. სწორედ ჰქონდა ებს ჩაფიქრებული — ჯიქურ მისდგომოდა. იმთავითვე პირში მიუხდა, სატყუარ ნიშნულით თქვენთან, პეტს ასე უფრო დაეჯერებინა, ჯიქურ ლობე-ყორეს მოედებით. ხუთი-ექვსი წელი იქნებოდა გასული, რაც პეტს ის ცხენი აღარ ენახა, ხოდა, ებმაც იფიქრა — ვინ ისე იცნობს ამ ცხენს, როგორც ჭირის შეუძლია იცნოს ერთდოლარიანი ხაათი, რომელიც მისი ტოლების ლელო შემთხვევით წამოიდგინა ხუთ-ექვსი წლის წინათ. ებს სულაც არ უნდოდა პეტის გაცურება, ოღონდ უნდოდა, როგორმე ის რვა დოლარი დაებრუნებინა, ოთხ ჩაპატრულეთა ალებ-მიცემის ღირსებისა და სიამაყის საფასური, სწორედ ღირსებისა და არა ბოროტების გულისთვის. მაინც ასე გამოვიდა თითქოს. დღემდე დარწმუნებული ვარ, ებმა გააპრიალა-მეთქი პეტი და მისი ბისლისეული ცხენი კი არ ეცნობა და იმიტომ კი არ უთქვამს-მეთქი უარი სხვაგვარად გამცვალა, თუ არა წყალი წყალში, უბრალოდ, იანვარში და ასე ამბობდა.

თუმცა, რა ვიცი. იქნება ები ისე ძალიან ცდილობდა პეტი გაეცრიცებინა, რომ პეტს აღარც დასჭირვებია ების გაცრიცება. ერთი სიტყვით, ზანგის ბიჭმა ორი ჯორი გამოიყვანა წყვილად, პეტი კი იდგა, ცერი თითები ქამარში გაერჭო, ებს გამოეჭირდა და თამბაქოს ღეჭავდა ნება-ნება, ები კი იდგა, განწირული კაცის სახე ჰქონდა. თუმცა შინ არ ეტყობოდა. უკვე მიხვედრილი იყო — ძალიან შორს შეეტოპა, ცოდო ისიდა დარჩენოდა — ან ჟოლოსფერ გალიაჯებინა უკანმოუხედავად, ან კიდევ სიტყვა გადაეთქვა, ყველაფერი მიეტოვებინა, ოთხთვალაში ჩამჯდარიყო და იქაურობას გამოხსლოდა, ვიდრე ბისლისეულ ცხენს კიდევ შეჩვენოდა უნარი ანკესის ჩხვლეტისა შეეგრძნო. მაგრამ ამასობაში პეტ სტემპერმა გვიჩვენა, რა კაციც იყო. აქეთ რომ მოსძალებოდა ები, მის დაყოლიებას ცდილიყო, მე მგონია, ები უკან დაიხევდა უსიტყვოდ. მაგრამ პეტს არც უფიქრია ასეთი რამის გაკეთება. პეტმა ისევე გააცურა ები, როგორც ერთი დიდოსტატი ჭადრაკში გააცურებს ხოლმე მეორეს — სიტყვის საიდუმლოს არ გაუმხელს და მორჩა.

„კარგი ჯორი იყიდე მგონი, — უთხრა ებმა. — მე ის მერჩივნა, ცხენი მომეშორებინა თავიდან, არ მჭირდება და იმიტომ. ცხენში გამიცვალეთ ჯორი“.

„კი მაგრამ მეც არაფრად გამომადგება ეგ ცხენი, — მიუგო პეტმა, — კი, რაღინდარა საქონელი იყოს, თუ მთლად დავარდნილი არაა, შემიძლია გავასაღო, მაგრამ მეც ჩემი ანგარიში მაქვს. ამ ცხენში არაფერს გაგიცვლით, რადგანაც, თქვენი არ იყოს, არაფერს მარგია. ოღონდ მაგ თქვენს ჯორს კი შევიძენდი. შენიდუდ ერთი, რა წყვილს გაძლევთ სამაგიეროდ. ამ წყვილში, ვინც უნდა იყოს, სამჯერ მეტს მომცემდა, ვიდრე ცალ-ცალკე გაყიდვით ავიღებდი ორივეში“.

„ხომ მაინც წყვილი დაგრჩებათ გადასაცვლელად“, — შეესიტყვა ები.

„არა, — უთხრა პეტმა. — ამ წყვილში თქვენგან მეტი უნდა მივიღო, ვიდრე წყვილის გაყოფისას ავიღებდი. ერთი ჯორის მეტი თუ არ გჭირდებათ, მაშინ სხვაგან უნდა ეძიოთ ბედი“.

და მაშინ ებმა ერთბაშად კიდეც შეათვალიერა ის ჯორები. რა ვიქნოდა, ჯორის პირობაზე თითქოს არაფერი ეკითხა. არც გადასარევები ყოფილან და არც ძალიან წუნდასადები. ცალ-ცალკე რომ ყოფილიყვნენ, ვიდრე ების ჯორი, მაგრამ წყვილად როცა იდგნენ, შეეხედებოდათ, ისე რომ ები განწირული იყო. მე მგონია, პეტ სტემპერიც მაშინვე მიხვდა, ები განწირულია როგორც კი თავი აიღო და დაინახა, რომ ზანგის ბიჭი ალურში ჩაურბენდა ბისლისეულ ცხენს, ხოლო ცხენი კარავისკენ იჭაჩებოდა. მე მგონია, პეტი მაშინვე მიხვდა — საჭიროც არაა ები გაცრიცულიყო. „არა-არა“ უნდა ვიძახოთ, რაც შეიძლება მეტხანს და მორჩა და გადავყვეთ. ხოდა, იდგა პეტ სტემპერი ჩვენს ოთხთვალას მიყრდნობილი, ცერი თითები ქამარში გაერჭო, თამბაქოს ღეჭავდა და უმზერდა, როგორ ჩხრეკდა და ათვალიერებდა ჯორებს ები. მაშინ მეც კი მივხვდი — ები გაცრიცა-მეთქი: ფეხქვეშ მყარი საყრდენი ეცლებოდა და თურმე სიღრმისკენ მიექანებოდა, იმ ზომამდე, ერთი წამითაც აღარ შეეძლო შეჩერება, რომ უკან გამობრუნებულიყო. „კაცი გავარიგებ, — თქვა ებმა. — მიმყავს“.

ერთი სიტყვით, ზანგის ბიჭმა ოთხთვალას ახალი ჯორები შეუბა და ჩვენც ქალაქისკენ გავწიეთ. მაინცდამაინც წუნი არ დაგვიდევს იმ ჯორებს. მაშინ, სულელი ჩემი თავი, ისიც ვიფიქრე — მართალია, სტემპერის სადგომში კი ჩავარდა ები, მაგრამ მგონი უკვე თავიც დაიღწია-მეთქი.

ოღონდ ის ზანგის ბიჭი ნამდვილი არტისტი იყო. იმიტომ რომ მარს ეკრეჯურში მოსიდეგდნი, რომ შეეჯინდა, ორი ჩვეულებრივი ჯორი იყო, ვარსკვლავებს არ ეთამაშებოდნენ, რაღა თქმა უნდა, იმგვარები აპრით შეიძლება შემოიხვდე გზაზე. ოღონდ ერთი წუთი კი შევნიშნე ორივეს — ამერიკას ერთბაშად მოიწყდნენ ადგილს, ჯერ ერთი გაიქცა და უცბად მიაჯანა ფეხი, მერე მეორემაც იგივე ქნა. გზაზე რომ გავედით, ერთი მათგანი ერთბაშად გზის განაპირას გავიდა მიუწყხეს, ისე ფეხით თითქოს უკან გაბრუნება ჰქონდა, ხოლო პირდაპირ ოთხთვალას უნდა გადაევლოთ თავზე. მაგრამ პეტ სტემპერმა ხომ ის გვითხრა მხოლოდ — გვარიანი წყვილიაო, სიტყვაც არ დასცდენია იმის თაობაზე, რომ ამ წყვილს როდისმე ერთად ემუშაოს. კი, ჩემო ბატონო, მართლა გვარიანი წყვილი იყო იმ გაგებით, რომ არც ერთს წარმოდგენა არ ჰქონდა, როდის დაიძრებოდა ადგილიდან მეორე. მაგრამ ებმა მაინც მოახერხა მათი დაოკება, ასე რომ ეზო განვიარეთ და ის იყო ქალაქის მოედნისაკენ ბექობს შევუდექით, რომ უცებ შევნიშნეთ — ორივე სწორედ ისე იყო გაჭედილი, როგორც ბისლისეული ცხენი ეპალთიუმის შეუქნიათ მიუხლამდე. თუმცა ამას კიდევ არაფერი უშველდა. იმ დღეს გვარიანი ხვატი იდგა. და მაშინ პირველად შევამჩნიე, რომ წვიმას აპირებდა. მახსოვს, სამხრეთ-დასავლეთით გაწოლილ გზაგრძელ ხეივანს თითქოსდა გავარჯიშებული ღრუბელი გადმოსდგომია და ვფიქრობდი — შინ დაბრუნებამდე ან თუნდაც უამინდობამდე მოგვასწრებს-მეთქი წვიმა, რომ უცებ შევამჩნიე — ჩვენი ოთხთვალა მაღლა კი აღარ მიიწევდა ბექობზე, უკან გორდებოდა. მივიხედე და თვალი მოვკარი, როგორ მიებჯინა ფეხი გზის განაპირებში ორივე ჯორი და ხელაწ აქედან-იქიდან მიჩქარებოდა ერთიმეორეს, ები კიდევ, ისინი თვალებჯაგუდრუნებულნი, ცდილობდა შებრუნებინა. და ამ დროს ჯორები თვითონვე შებრუნდნენ და, მახსოვს, იმის გაფიქრებაც მოვასწარი — კიდევ კარგი, ოთხთვალასკენ არ ქრის-მეთქი პირი, რადგან უკვე ორივე ერთდროულად გაქანა — ალბათ პირველად თავიანთ სიცოცხლეში, ყოველ შემთხვევაში, პირველად მას მერედ, რაც ები მათი პატრონი შეიქნა — და ბექობზე აქვრიალდით. მოედანზე შევიჭერით, ოთხთვალა ორ ბორბალზე შედგა, ები კიდევ მოსასართაველს ექაჩებოდა და ყვიროდა „დაიწყევლოს ღმერთმა! დაიწყევლოს ღმერთმა!“ და ირგვლივ ხალხი — მეტწილად ქალები და ბავშვები — წივილ-კივილით იფანტებოდა, ვიდრე სათ მოახწრებდა. ებმა მაინც მოახერხა კვიის დუქნის უკან შესახვევში შეგვეხვიეთ, იქ ჩვენი ოთხთვალის ბორბალი მეორე ოთხთვალისას წამოედო, ამან დაგვამუხრუჭა და შევჩერდით. მოედნიდან ხალხი ბღლომად მორბოდა ჩვენს დასამარხებლად, მერე კი ებმა ჩვენი ჯორები დუქნის უკან ბოძთან მიაბა და ისე მჭიდროდ მიაკრა ორივე, ცხვირები შემხვდა აამყურიანა. ამასობაში ხალხი მოჯარდა გარშემო, მოდიოდნენ და მოდიოდნენ, და ყველანი ერთსადაიმავეს იმეორებდნენ — უყურეთ, უყურეთ, სტემპერის ჯორებთან! ხოლო ები ქმნიდა და უზრუნველ კაცს აღარაფრით ჰგავდა, დადარაჯებული იმზირებოდა. მოდი, წავიღოთ ის დაწყევლილი სეპარატორი და გავეცლოთ.

შევედით დუქანში, მისის სნოუპსის ჩვარი კვლავ მივაჩერეთ, იმანაც გადაუთვალა ის ოცდათხუთმეტი დოლარი და სამოცდარვა ცენტი, ჩვენ კიდევ სეპარატორს ხელი წამოვავლეთ და ოთხთვალისაკენ გავეშურეთ. ოთხთვალა კი დაგვხვდა ადგილზე, ოთხთვალა არ იყო მთლიანი ამბავი. შესახვევში ხალხი ირევა, იქნებ სამჯერაც მეტი იქნებოდა მოჯარული წვიმის დანდელობას შედარებით. ჯორებიც ადგილზე დაგვხვდნენ. დაწოლილიყვნენ. ეხს მეტადრე მიაგონდა ბოძზე და ერთი ორივე ისეთი შესახედავი იყო, როგორც თავისმკვლელთა ორი ჩამოხრჩობილი წყვილი, არც მეტი და არც ნაკლები. — თავები აეწიათ და ცას გასცქეროდნენ, ენები გადმოეყოთ, თვალები გადმოეკარკლათ, ყელი ბაწრით ეფუჭებოდათ, ფეხები კიდევ ისე ჰქონდათ აწეული, თითქოს ნაბადიდან ჩამოეკიდათ. ები მივარდა და დანით გადაჭრა თოკი. არტისტი იყო-მეთქი, ხომ გითხარით! სწორედ იმ დღენი მიეცა წამალი იყო თუ რაღაც, რომ ქალაქის მოედანზე ჩამოედეს წინათ.

თუ გინდათ მიჯა გამისკდეს, ოღონდ პეტ სტემპერი ისე დაგვხვდა, თითქოს ფეხიც არ მოუცვლია ჩვენი წასვლის შემდეგ. ისევ იდგა ჩემს შემოვლილ ბაწრით, ქუდი კეფაზე მოეგდო და ცერი თითები ქამარში გაერჭო.

„მე ჩემი წყვილის წასაყვანად მოვედი“, — უთხრა ებმა.

„რა მოხდა? — იკითხა სტემპერმა. — ვითომ ძალიან ფიცხები გამოდგნენ? რაღაც არ ეტყობათ, ასე რომ იყოს“.

„კარგი, — უთხრა ებმა, — კაცურად. მე ჩემი წყვილი მინდა. აგერ, ოთხი დოლარი დამრჩა. აიღეთ თქვენი ოთხი დოლარი სარგებლად და ჩემი წყვილი დამიბრუნეთ“.

„თქვენი წყვილი აღარ მყავს, — მიუგო სტემპერმა. — ის თქვენი ცხენი ხომ არც მე მჭირდებოდა არაფრად. ხომ გითხარით ეს ამბავი. მეც ავდექი და გავასაღე“.

ები ისევ კოფოზე იჯდა. ცოტათი დამშვიდებულიყო. ნიავმა დაუბერა და წვიმის სუნი დადგა ჰაერში. „კარგი, ბატონო, ჩემი ჯორი ხომ არ გაგიყიდიათ, — უთხრა ებმა. — იმას წავიყვან, ჯანი გავარდეს“.

„მერედა რას მომცემთ? — შეეკითხა სტემპერი. — მაგ წყვილს გინდათ თქვენს ჯორში გამიცვალოთ?“ ოღონდ ებს გარიგების თავიც აღარ ჰქონდა, საბოლოოდ გაფუჭდა. — იჯდა და თითქოს ვეღარაფერს ხედავდა, ხოლო სტემპერი ჭიშკრის სარს მიეყრდნობოდა და, ვითომცა აქ არაფერიაო, ისე გამჭურეთებდა. მერე ხანს უმზირა და უთხრა: „არა, არ მინდა ეს ჯორები. თქვენი სჯობს. მაგ არაფერი გამოვიდა, არ გამოვიდა, — უთხრა და გულმშვიდად განაგრძო, — [illegible] იყოს, თქვენი ჯორი სხვა ცხენს ამოუდგეს წყვილად. გინდათ ნახოთ?“.

„კმარა, — თქვა ებმა. — რამდენი გინდათ?“

„შენთვისაც არ გსურთ?“ — გაიოცა სტემპერმა.

„კარგი“, — უთხრა ებმა. ხოდა, ზანგის ბიჭმა ების ძველი ჯორი და ცხენი, ტანმორჩილი, მაგრამ ცხენი გამოიყვანა. მახსოვს იმ მოღრუბლულ, უბნელ დარშიც ერთიანად ბზინავდა — ჩვენ რომ მოვყევით სტემპერს, იმაზე ოდნავ დიდი იყო და ლორივით გატიკნილი. დიახ, დიახ, სწორედ ლორივით ჩასუქებული გახლდათ, ისეთი ნაბატიერები ცხენები არ მოიძებნება, მხოლოდ ლორი შეიძლება იყოს.

„ძალიან სქელია, — თქვა ებმა, — სახლამდეც ვერ ჩამიყვანს“.

„მეც მასე ვფიქრობ, — მიუგო სტემპერმა, — და ამიტომაც მინდა გავასაღო“.

„კარგი, — უთხრა ებმა, — უნდა გამოვცადო“. თქვა და ოთხთვალიდან ჩამოხტა.

„უნდა გამოსცადოთ?“ — სტემპერმა ებს შეხედა. მერე გადააფურთხა, ცოტათი უკან დაიხია და ზანგის ბიჭს უთხრა: „კარგი, ჯიმ. შეაჯინე“. და, აი, ზანგის ბიჭმა ები ცხენზე შესვა, ოღონდ სტემპერივით უკან დაიხევა ვერ მოასწრო, რადგან, ამჯდარიდა თუ არა ები, თითქოს მარჯვნივ ელექტრული დენი გაეტარებინოთ მისთვის.

ბისლისეული ცხენი

ცხენი ბზრიალასავით დატრიალდა — თავი სად იყო და ბოლო სად, ვერც გაარჩევდა, გვერდებითურთ კარტოფილსაო, — და ებს ძირს გადმოუგდია. ები წამოდგა და ხელებს იფერთხავდა, ხოლო სტემპერმა თქვა: „ჯიმ, შეაჯინე“, და ზანგის ბიჭიც ხელახლა მივარდა და ცხენმაც ხელახლა გადმოაგდო. და ები წამოიმართა და თვალის დახამხამებაში ისევ ცხენს მიაშურა, ხელი წაატანა, ოღონდ ამჯერად სტემპერმა შეაჩერა და უთხრა: „რა, სიცოცხლე მოგბეზრდათ?“

„კარგი, — თქვა ებმა, — რამდენი გინდათ?“

„კარავში შევიდეთ“, — უთხრა სტემპერმა.

მე ოთხთვალაში დავრჩი და ველოდებოდი. ქარი ქროდა, ჩვენ კიდევ ზედა დასაფარებელი არ გვქონდა წამოღებული. სამაგიეროდ ოთხთვალაში ცალი ქათმის რამდენიმე ტომარა, მისის სნოუპსისგან სეპარატორის შესაფუთად გამოტანებული. მეც სწორედ ის იყო მეფუთებოდი, რომ ზანგის ბიჭი კარვიდან გამოვიდა, კარვის კალთა გადაწია და დაინახა, რომ ები პირდაპირ ბოთლიდან სვამდა. მერე ზანგის ბიჭმა ოთხთვალა გამოიყვანა, ები და სტემპერი კარვიდან გამოვიდნენ და ები ჩვენს ოთხთვალასთან შემოვიდა, მე ზედ არ შემომხედა, ოღონდ სეპარატორის ტომრები მოაცილა, ახსნა და იმ მეორე ოთხთვალას დაუდო, მერე ისა და სტემპერი შესხდნენ და ქალაქში გაბრუნდნენ.

ცოტა დროს ის-ის იყო დასცხებოდა წვიმა. მახსოვს, გავიფიქრე, სახიფათოდ ესელა ტომრები მაინც გვექნება და იქნებ დაუსველებლად გადავრჩეთ-მეთქი.

მერე ები და სტემპერი დაბრუნდნენ და ებმა, წვალებულის არ იყოს, არც შემოუხედავს. ისევ კარავში შევიდნენ და დასხდნენ. როგორც მოვიდა შემჩნევდა ბოთლი, მერე კი უბეში ჩაიდეს. მერე ზანგის ბიჭმა ჯორი და ის მეორე ცხენი მოიყვანა, შებუა, ები გამოვიდა და კოფოზე შემოჯდა. სტემპერი და ზანგის ბიჭი ემშვიდობებოდნენ.

„იქნებ აჯობებდა, ამ ბიჭუნასთვის მიგვეცით სადავე. ჰა?“ — უთხრა სტემპერმა.

„არა, მე მეჭირება, — მიუგო ებმა. — შესაძლოა გაცვლა-გამოცვლის არაფერი გამეგებოდეს, ოღონდ ცხენის წაყვანას გზაზე კიდევ შევძლებ როგორმე“.

„როგორც გენებოთ, — უთხრა სტემპერმა. — დაგიმახსოვროთ, ეგ ცხენი, რაცაა“.

დაქვავებთ კიდევ და რა იყო! ერთი მილის გამოვლაც ვერ მოვასწარით, წვიმამ დასცხო, ავრეკუდეთ, და ორ საათს ტომრებქვეშ მოხუნულები მივეჩხურებოდით და გაჟღენთილნი ვხედავდით, როგორ იქცეოდა ის ჩვენი ახალი, გარუშულ-გადატყავებული და გამხდარი ცხენი, სწორედ ისევე, როგორც სტემპერისას, როცა ები ზედ მოეგდო, ვიდრე ბოლოსდაბოლოს გზას პირდაპირ ძველ თავლას არ შევეფეთეთ. თუმცა, უფრო სწორად, მე მეგონა, რადგან ამ დროისთვის ები ფერხთით ძირზე გამოხმარებულიყო და წვიმა თავ-პირზე სცემდა, მე კიდევ კოფოზე ვიჯექი და მივყურებდი. და უცებ თვალი მოვკარი — ის გადატყავებული შავი ცხენი წაბლად იქცეოდა. მაშინ რვა წლის ვიყავი და მანამდე მე და ები მის ბაგს იქით არსად გავცურებულიყავით ალებ-მიცემის საქმეში. პირველივე შემხვედრ სახურავს ქვეშ დავაყენეთ ოთხთვალა და ებს გაუტიეს. წყლისგან ტანზე ფერი სულაც გამოეხმარნათ, რა გინდათ, შეიძლება, რას მოიფიქრებდა?

ცხენი-მეთქი, ვიყვირე, ფერს იცვლის ცხენი!

უკვე სრულებით დამზიდული იყო. ერთად ჩამოვხტით ოთხთვალიდან და ებმა თვალები ამღწიკა — ოთხთვალაში წაბლა ცხენი ება, მაშინ როცა მის დარწმუნებამდე შავი იყო ის ცხენი. მაშინ ებმა ხელი გაიწოდა, თითქოს აღარც კი სჯეროდა, რომ მის წინ ცხენი იდგა, და სწორედ ის ადგილი მოუსინჯა, რომელზეც სადავეს უტყლაშუნებდა გზაზე. ხოდა, თვალი მოვკარი, როგორ მოწყდა და გამოვარდა ცხენი, ძლივს მოვასწარი გამორიდება, და ჩვენს უკან კედელს მიაწყდა. სულ ახლოს ჩამოიქროლა, თმაც კი ამიშალა მისგან შემოქროლმა ქარმა. მერე კი ისეთი ხმა შემოესმა, თითქოს გულისამრევ სალტეში ლურსმანი გაერჭოს ვინმეს, რაღაც ამოიწია: „ფ-შ-შ-შ-შ-შ“ — და პეტ სტემპერის გადატყავებულ-გადამხმარი შავი ცხენისაგან აღარაფერი დარჩენილა. არა, იმას კი არ ვამბობ, ების და ჩემს გარდა თავლაში მარტო ჯორი დარჩა-მეთქი. ცხენიც იქვე იდგა. ოღონდ ეს სწორედ ის ცხენი გახლდათ, დილით რომ ოთხთვალას შევუბით შინიდან წამოსვლისას და მანამდე ორი კვირით ადრე ბისლი კებმა ხორცის საყიდავში და სახლში რომ გავცვალეთ. ანკესიც კი დავუბრუნდა და წვერიც იმ მხარეს ჰქონდა მიმაგრებული, საიდანაც ებმა უქნა პირი, ზანგის ბიჭმა სულ ცოტაზე გადაუწია ის ანკესი, ეს იყო და ეს. ოღონდ მეორე დილით ებმა ტყვიით, სწორედ წინა ფეხის ქვეშ გულისხმიერად ნიპელი უპოვნა იმ ცხენს. ეს ისეთი ადგილია, მოგეხსენებათ, რომ თუ წელიწადსაც რომ ჰყავდეს ცხენი პატრონს, მგონი ერთხელაც არ მოუვა აზრად იმ ადგილის მოსინჯვა.

თარგმნა **რევაზ თვარაძემ**

გასტროლები დამთავრდა

თბილისში ს. შაუმიანის სახელობის სომხური დრამის თეატრში რამდენიმე დღეს მიმდინარეობდა კიროვაკანის ო. აბელიანის სახელობის დრამატული თეატრის გასტროლები. სტუმრების საგასტროლო რეპერტუარში იყო ხუთი სპექტაკლი: გ. სუნდუკიანის „ამოტ ერკათი“, ვოინიჩის „კრაზანა“, ა. ბუაჩიძის „ეზოში ავი ძაღლია“, ალ. შირვანზადეს „ავი სული“ და პ. პროშიანის „სოსი და ვარდითერი“.

კიროვაკანელთა ერთ-ერთი საინტერესო ნამუშევარია ქართველი დრამატურგის ა. ბუაჩიძის „ეზოში ავი ძაღლია“. ეს სპექტაკლი დადგა თეატრის მთავარმა რეჟისორმა, სომხეთის სსრ დამსახურებულმა არტისტმა ს. აყბაბიანმა, მხატვრულად გააფორმა საქართველოს და სომხეთის სსრ ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ რ. ნალბანდიანმა.

თბილისელები სიამოვნებით ეცნობოდნენ ამ ნიჭიერი კოლექტივის სპექტაკლებს.

სახალხო თეატრის პრემიერა

ზესტაფონის უ. ჩხეიძის სახელობის სახალხო თეატრმა მაყურებელს მორიგ პრემიერად უჩვენა სტეფანე და ალექსანდრე მხარგრძელების კომედია „ახალი მიხამართი“. პიესა დადგა რეჟისორმა ა. გუბელაძემ. მხატვარია გ. ბაკურაძე, მუსიკალური გაფორმება ეკუთვნის ო. მაჭავარიანს.

როლებს ასრულებენ: ნ. ჭანკვეტაძე, ა. არაბიძე, ლ. თევაძე, ა. გუმბერიძე, ლ. ბეჟიძე, შ. ფოცხვერაშვილი, ნ. წერეთელი, გ. ზარატიშვილი, ა. სოფრომაძე, რ. მჭედლიძე, რ. ლელუაშვილი.

შეხვედრები, საღამოები

თბილისი. მაქსიმ გორკის სახელობის კულტურის სახლში საზოგადოება „ცოდნის“ ოქტომბრის რაიონულმა განყოფილებამ და კომკავშირის ოქტომბრის რაიკომის ლექტორიუმმა მოაწყო აკაკი წერეთლის დაბადების 125 წლისთავისადმი მიძღვნილი საღამო. აკაკის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ მოხსენება წაიკითხა კრიტიკოსმა ზ. ჭუმბურიძემ. მოგონებით გამოვიდა მწერალი როდიონ კორკია, აკაკისადმი მიძღვნილი ლექსები წაიკითხეს პოეტებმა ა. შანიძემ, ი. ნოშრევანიძემ და სხვ.

გიო კანანელი

ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ 94 წლის ასაკში გარდაიცვალა ცნობილი ქართველი გლეხი პოეტი გიო კანანელი (გიო ყარამანის ძე კანაშვილი).

გიო კანანელი დაიბადა 1871 წელს სიღნაღის რაიონის სოფელ საქობოში, ღარიბი გლეხის ოჯახში. პატარა გიომ თავის თავზე გამოსცადა რევოლუციამდელი გლეხის ცხოვრების მძიმე პირობები. თითქმის 30 წლის მანძილზე იგი იყო მოჯამაგირე, დაქირავებული მუშა. წერა-კითხვა შეისწავლა უფროსი მეგობრებისაგან და ჯერ კიდევ 1905-1907 წლების რევოლუციის დროს დაიწყო ლექსების წერა. გიოს პირველი ლექსი დაიბეჭდა 1912 წელს გაზეთ „ხმა კახეთისაში“. მას შემდეგ გ. კანანელი ლექსებს სისტემატურად ბეჭდავდა ქართულ პერიოდულ პრესაში.

გიო კანანელი აღფრთოვანებით შეხვდა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებას და გულწრფელად უმღერა თავისუფალი ქართველი ხალხის შემოქმედებით შრომას, სოციალიზმის მშენებლობას. მისი ლექსების ძირითადი თემაა სამშობლოს სიყვარული, ახალი სოციალისტური ყოფის დამკვიდრებისათვის, კომუნიზმის გამარჯვებისათვის ბრძოლა.

გ. კანანელის ლექსები გამოირჩევა უშუალობით, გულწრფელობით, სიხალისით, სიცოცხლის სიყვარულით, ბრძოლისა და გამარჯვების სულისკვეთებით. მისი ლექსები 1955 წელს გამოიცა ცალკე წიგნად.

გ. კანანელი აქტიურ მონაწილეობას იღებდა საზოგადოებრივ ცხოვრებაში. იყო საქობოში კოლმეურნეობის ჩამოყალიბების ერთ-ერთი ინიციატორი.

გ. კანანელის ხსოვნა დიდხანს იცოცხლებს მადლიერი მკითხველის გულში.

ამხანაგების ჯგუფი

ახალი წიგნები

„საბჭოთა საქართველო“

ანდრო თევზაძე — რჩეული. კრებულში წარმოდგენილია პოეტის მიერ 25 წლის მანძილზე განმავლობაში პატრიოტულ თემაზე შექმნილი ლექსების ნაწილი, რომლებშიც პოეტი უმღერის ჩვენს დიდ სამშობლოს, კომუნისტურ პარტიას, საბჭოთა ადამიანს, მეგობრობას. რედაქტორი — შ. ფოჩხიძე, მხატვარი — გ. ქუთათელაძე. გვ. 213, ფასი 34 კაპ.

მარტინ მონო — ღრუბელი. ფრანგულიდან თარგმნა ნათელა ტელელაძემ. რედაქტორი — ელ. გოგოლაშვილი, მხატვარი — თ. კარბელაშვილი. გვ. 120, ფასი 32 კაპ.

„მეცნიერება“

აკაკი ხინთიბიძე — ლექსმცოდნეობის საკითხები. რედაქტორი — ბ. დობორჯგინიძე, მხატვარი — გ. ნადირაძე. გვ. 215, ფასი 91 კაპ.

„ლიტერატურა და ხელოვნება“

არჩილ ქიქანაშვილი — ნაგერალი. რომანი. რედაქტორი — ალიო ადამია, მხატვარი — ბ. ზაუთაშვილი. გვ. 205, ფასი 47 კაპ.

თინა დონჯაშვილი — ალაზანზე. რომანი. გამოცემა მეორე. რედაქტორი — რ. მარგიანი, გვ. 543, ფასი 91 კაპ.

„ნაკადული“

ვარლამ ძიძიგური — გზები და ადამიანები (მოთხრობები). რედაქტორი — ელ. უბილავა, მხატვარი — დ. დონდუა. გვ. 230, ფასი 55 კაპ.

პეტრე შამათავა — დღეისია გადადიოდა კავკასიონზე (ნარკვევები). რედაქტორი — გ. ხორნაული, მხატვრები — ო. ქობაკიძე, ა. სლოვინსკი, ი. ჩიქვაიძე. გვ. 50, ფასი 8 კაპ.

იგორ გოლოსოვსკი — მინდა მჯეროდეს (მოთხრობა), თარგმანი ვ. კოლუაშვილისა, რედაქტორია ნ. ლორთქიფანიძე, მხატვარი — რ. მახარაძე. გვ. 167, ფასი 38 კაპ.

კონსტანტინე პაუსტოვსკი — ფოლადის ბეჭედი (მოთხრობა უმცროსი სასკოლო ასაკის ბავშვებისათვის, თარგმანი ვ. ბიბილეიშვილისა). რედაქტორი — ლ. ქარდავაშვილი, მხატვარი — შ. ცხადაძე. გვ. 14, ფასი 3 კაპ.



ბაბუა ამირეჯიბი — ძია შოთას ბაღი. ეს წიგნი შეიცავს ავტორის მიერ უკანასკნელი ორი წლის მანძილზე შექმნილ ნაწარმოებებს. რედაქტორი — ჯ. ხორნაული, მხატვარი — რ. მახარაძე. გვ. 177, ფასი 24 კაპ.

ნატალია ზაბილა — კატუნას ცული (მოთხრობა, თარგმანი დ. თოთრაძისა), რედაქტორი — ლ. ლორთქიფანიძე, მხატვარი — შ. ცხადაძე. გვ. 24, ფასი 8 კაპ.

ბესო თათარიშვილი — კაცი ლამპარი (ნარკვევი „მამულიშვილის“ ავტორზე). რედაქტორი — ლ. გოგოხია, მხატვარი — ო. ვარდიაძე, გვ. 72, ფასი 15 კაპ.

რედაქტორი იოსებ ნონეშვილი.
სარედაქციო კოლეგია: დ. ანთაძე, ხ. ბერულავა, ა. გომიაშვილი, ნ. გურიშიძე, გ. ლეონიძე, ა. მირცხულავა, მიხ. მრევლიშვილი, გ. ნატროშვილი, გ. ძლენტი, ერ. ქარდლიშვილი, ს. ჩიქოვანი, თ. ჯანგულაშვილი, უ. ჯაფარიძე.

ИНДЕКС 66449 რედაქციის მისამართი: თბილისი, მაჩაბლის ქ. № 13, ტელეფონები: რედაქტორის 9-84-04, პასუხისმგებელი მდივნისა და განყოფილებების 9-67-10, საქ. კპ. ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 11930.